

იპედი



ყველთვიური ჟურნალი შეგდებული შესაქლებლების მქონე პირებისათვის
№ 1(35) ნოემბერი 2013წ.

3 ლექსიერი შეზღუდული შესაქლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცვის ღღა

1713
2013



მაქლდინის ასოციაცია გავშვებისთვის

გ. 3



ჩატარებული საგრანტო კონკურსის უცნოვი შედეგები

გ. 30



ლუდვიგ გუტმანი -
პარალიმპიური თამაშების დამაარსებელი

გ. 30



საქართველოს პროფესიული და ინკლუზიური
განათლების განვითარების ასოციაცია

გ. 14



გავიცნოთ ფილიპ კრავიენი

გ. 29



ესმინეთ ყოველ ხუთშაბათს 14:00 სთ.-დან 18:00 სთ.-მდე
მაია ასაქაძელის სააქტოო გადაცემას
„აღაძიანები ვანსხვაქუელი ძესაძლქტლოჭებით“

პირველი საგაღმისინო რადიო
ტელ.: 2 42 10 03



იკითხოთ ჟურნალი „იმედი +“

ბატონებო და ქალბატონებო, ბვირთასო მეგობრებო,

სიამაყით და სიხარულით გაცნობებთ, რომ მ/წ დეკემბრიდან, თითქმის ორი წლის შესვენების შემდეგ, მუშაობა განაახლა ყოველთვიურმა საინფორმაციო-საგანმანათლებლო ჟურნალმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის „იმედი +“ – მა. ეს სიხარული რეალურად გვიქცია მაკლეინის ასოციაციის ბავშვებისათვის შესვენებმა ქალბატონმა ქეთი მაკლეინმა (Cathy McLain), ბატონმა როი სოუთვორთმა (Roi Southworth) და ასოციაციის დირექტორმა ბატონმა რევაზ ჩინჩალაძემ, რისთვისაც ჩვენი მკითხველის სახელით უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაკლეინის ასოციაციის შესვენებმა ღრმად შეათასეს, კერძოდ აღნიშნული ჟურნალის და მოგადად, მასმედიის საშუალების მნიშვნელობა შშმ პირების ცხოვრებაში და სხვებისაგან განსხვავებით ფინანსური და მორალური მხარდაჭერა გამოუცხადეს ჟურნალ „იმედი +“ – ს.

დიდად ვაუბრებით რა აღნიშნულ მხარდაჭერას, ჟურნალის რედაქცია ყოველგვარ საშუალებას გამოიყენებს აღნიშნული ნდობის გამართლებებისათვის.

ჟურნალ „იმედი +“ –ს რედაქცია

**მილოცვას უერთდება საქართველოს
პროფესიული და ინკლუზიური განათლების
განვითარების ასოციაცია**



Dear Friends,

Imedi + is proud and happy to inform you that as from December this year, after an almost two year break, it will continue it's publication. Our journal was established to educate and share information about people with disabilities around Georgia. We are very thankful to the founders of McLain Association for Children (MAC), Cathy McLain, Roy Southworth and Revaz Chinchaladze, for the opportunity to continue.

MAC not only supports disability work but also recognizes the importance of mass media (such as our journal) for disseminating information. We deeply appreciate the financial and moral support for Imedi + and editorial staff will make an effort to justify the trust.

Editorial Staff of the journal "Imedi +"

**The Professional and Inclusive Development
Education Association**

IssN1987-7161 977198771600	სასიკეთო თანამშრომლობა2 ქველმოქმედების წამახალისებელი ცვლილებები საგადასახადო კოდექსში2
მთავარი რედაქტორი	მაკლენის ასოციაცია ბავშვებისთვის3 ბავშვი ცერებრული დამბლით ცერებრული დამბლა მედიცინის შეხედულებით5
თეიმურაზ მიქიაშვილი 593 33 5887	მოძრაობა ბავშვის ჯანმრთელობას აყალიბებს8 ლიტერატურული შემოქმედება. დამლა10
რედაქტორის მოადგილე	მათი ჟესტიკულაცია და მიმიკა ისეთი გულში ჩამწვდომია, ვერასოდეს დავივიწყებ12
მაია ასაკაშვილი 599 513397	„ბიძინა ივანიშვილი საკუთარი ფულის 90%-ზე მეტის დახარჯვას თავისი ქვეყნის მოქალაქეებზე გეგმავს“12
გამომცემელი რედაქტორი	ახალი პროექტები ინკუბიურ განათლებაში13 საქართველოს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების ასოციაცია14
გოჩა ვარდოსანიძე 593 916682	გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მნიშვნელობა და მისი იმპლემენტაციის მექანიზმები16
ლიზინერი	ვინცებთ რეაბილიტაციას17 მიზნის სწორად გასნაზღვრა და ნებელობითი კომპონენტები რეაბილიტაციის პროცესში17
სოფო ტარყაშვილი 592 534466	მეურვეობა და მზრუნველობის დანერგვა18 „გალაქსი“ - მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია19
გამომცემელი	ადაპტური ფიზიკური აღზრდა და სპორტი, როგორც რეაბილიტაციის პროცესის ნაწილი20
კავშირი იმედი პლიუსი	რაჭველები კრწანისის ომში21 ერთობლივი გამოფენა-გაყიდვა25
საკონტაქტო ინფორმაცია	შპს პირები სამემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდნენ25 დღეიდან დეკრეტული შვებულების დღეების რაოდენობა და ანაზღაურება გაიზარდა25
ქ. თბილისი. ჭავჭავაძის გამზ. N66. მე-2 სადარბ. ბ. 12 + 995 223 22 60 + 995 593 33 5887 + 995 599 51 3397 + 995 593 91 6682	სოლიდარობის აქცია26 უსმინეთ საავტორო გასადაცემას მაია ასაკაშვილთან ერთად26 ადამიანის ყველაზე დაუნდობელი და ძლიერი მონინალმდეგე27 გავიცნოთ ფილიპ კრაივენი29 ლუდვიგ გუტმანი - პარალიმპიური თამაშების დამაარსებელი30 ჩატარებული საგრანტო კონკურსის უცნობი შედეგები30 ხერხემლის ოსტეოხონდროზის მწვავე პერიოდის საწყის ეტაპზე ჩასატარებელი სამკურნალო ტანვარჯიშის სანიმუშო კომპლექსი31 თბილისის ანტილირსუსანიშნაობანი32
ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში. თბილისი.0163. ჩუბინიშვილის ქ. N50	



ჟურნალი გამოდის მაკლენის ასოციაცია ბავშვებისათვის მხარდაჭერით.

ჟურნალის პარტნიორია – არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების ასოციაცია.

ჟურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტიკის მიერ ჩანერილი აუდიო მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება.

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების და ფოტოების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

სასიკეთო თანამშრომლობა



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების შესაფასებლად და შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად, აუცილებელია სანდო საკვლევი ინსტრუმენტის გამოყენება. არავერბალური ინტელექტის შესაფასებელი ტესტი ONI-4 საშუალებას მოგვცემს შეძლებისდაგვარად ზუსტად გაგვომოთ მოსწავლის არავერბალური ინტელექტის კოეფიციენტი და შევადაროთ იმავე ასაკობრივი ჯგუფის უმრავლესობისათვის დამახასიათებელ მონაცემებს.

ტესტის სათანადოდ გამოყენებისათვის აუცილებელია, მოხდეს მისი ნორმირება ქართულ მოსახლეობაზე. ამ მიზნით, ორგანიზაცია „მაკლენის ასოციაცია ბავშვებისთვის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობის საფუძველზე, ნებრასკას უნივერსიტეტის პროფესორის, მკვლევარ დელ ჰარნიშისა და მისი გუნდის ხელმძღვანელობით, გვემავს ONY-4-ის ადაპტირებას საქართველოში, ნორმირების ყველა წესის დაცვით.

აღნიშნული ტესტი საუკეთესოდ აფასებს აზროვნების ოპერაციებს ინდივიდებში, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ტიპის სენსორული (მხედველობის გარდა) ან მოტორული დეფიციტი.

ტესტი გრძელდება 15 წთ.-დან 25 წთ.-მდე, ზოგადი ინტელექტის გამოშვება ხდება ვიზუალური დავალებებით.

ქველმოქმედების წამახალისებელი ცვლილებები საგადასახადო კოდექსში



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის აქტიური და ხანგრძლივი თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს არასამწარმეო იურიდიული პირებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას. საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ განმარტავდა ტერმინ შემოწირულობას, მაშინ, როდესაც აღნიშნული კოდექსის 99-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მოგების გადასახადისგან ათავისუფლებდა ორგანიზაციის მიერ მიღებულ გრანტებს, სანვერო შენატანებსა და შემოწირულობებს. ტერმინის განუმარტაობა პრაქტიკაში მრავალ გაურკვევლობას იწვევდა.

ასე მაგალითად, ბუნდოვანი იყო ჩაითვლებოდა თუ არა ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული ქონება (ვთქვათ, უსასყიდლოდ გადაცემული ავეჯი ან ტექნიკა) ან უფასოდ განეული მომსახურება (მაგ. უსასყიდლო იჯარა) შემოწირულობად და უნდა დაბეგრულიყო თუ არა აღნიშნული სარგებელი მოგების გადასახადით.

საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლში შესული ცვლილებების თანახმად, ტერმინი შემოწირულობა განიშარტა, როგორც “ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება, მათ შორის, ფულადი სახსრები.” აღნიშნული დეფინიციით ნათელი გახდა შემოწირულობის არსი. ამიერიდან ორგანიზაციები აღარ იქნებიან ვალდებული, მოგების გადასახადით დაბეგრას დაუქვემდებარონ ის სარგებელი, რომლებიც მათ შემოწირულობის ფორმით მიიღეს და ექცევა ამ ტერმინის განსაზღვრების ფარგლებში.

დამატებით, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებებით, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 117-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, ბიზნეს ორგანიზაციებსა და მენარმე ფიზიკურ პირებს საშუალება ეძლევათ ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითონ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხა, ასევე უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლისა და უფასოდ განეული მომსახურების საბაზრო ფასი.

მუხლის ძველი რედაქციის თანახმად, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითებოდა მხოლოდ თანხა, რომელიც გადაეცემოდა საქველმოქმედო ორგანიზაციას. ასეთი მიდგომა პრაქტიკაში წარმოშობდა ისეთ სიტუაციებს, როდესაც სანარმოს/მენარმე ფიზიკურ პირებს უწევდათ მოგების გადასახადით დაებეგრათ საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონების/განეული მომსახურების საბაზრო ღირებულება, რაც ყოველგვარ სტიმულს უკარგავდა მათ, ამ ფორმით გაეწიათ ქველმოქმედება. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებებით, ბიზნეს სუბიექტებს საშუალება ეძლევათ, მოგების გადასახადით აღარ დაბეგრონ საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონებისა და განეული მომსახურების ღირებულება, ასევე, ერთობლივი შემოსავალი (მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა) შეამცირონ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გადაცემული თანხის ოდენობით.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მადლობას უხდის ყველა იმ სტრუქტურას, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს საგადასახადო კოდექსში ბემოთ აღნიშნული ცვლილებების განხორციელებაში. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამოქმედო გარემოს გასაუმჯობესებლად და მათი ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობისათვის. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობა აუცილებელი წინაპირობაა სამოქალაქო სექტორის ეფექტიანი და ნაყოფიერი ფუნქციონირებისათვის, რაც თავის მხრივ, დემოკრატიული და წარმატებული სახელმწიფოს საწინდარია.



მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის



„მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის,“ არის არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, რომელთა რიცხვში შედიან განათლების ფსიქოლოგი, ნეიროფსიქოლოგები და ოკუპაციური თერაპევტები. მაკლეინის ასოციაციის მისიაა ემსახუროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მოზარდებს კავკასიის რეგიონში. გამომდინარე იქიდან, რომ სამიზნე ჯგუფში არის, ძირითადად, განვითარების, ქცევის და ემოციური სფეროს დარღვევის მქონე პირები, ხდება მათი შემეცნებითი და მოტორული უნარების შეფასება, რის საფუძველზეც ეძლევათ რეკომენდაციები. ორგანიზაცია ასევე, ატარებს ტრენინგებს ინკლუზიური განათლების საკითხებზე, ქცევის მართვასა და ეფექტურად სწავლების სტრატეგიებზე.

„მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის,“ გააჩნია შემდეგი პროგრამები:

სტიპენდიების პროგრამა

მაკლეინის ასოციაცია, ასევე, სთავაზობს სტიპენდიებს, კერძოდ, სწავლის დაფინანსებას შშმ პირებსა და მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ აღნიშნული საჭიროება - იმერეთის რამდენიმე სოფელში. ორგანიზაცია ასევე ეხმარება ქუთაისის ხანდაზმულთა დღის ცენტრს.

ინგლისური ენის პროგრამა

ასოციაცია მთელი წლის განავლობაში აფინანსებს ინგლისურის მასწავლებლებს და მართავს ყოველწლიურ საზაფხულო ბანაკებს, რომლებსაც ამერიკელი სპეციალისტები უძღვებიან. სოფელ ძეგრში.

თანამშრომლობა თსუ-სთან

ქვეყანაში განათლებისა და მოვლის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, თემის წევრების გაძლიერება მაკლეინის ასოციაციის ფილოსოფიას წარმოადგენს. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ამჟამინდელი სტუდენტები მომავალ პროფესიონალებს წარმოადგენენ. თსუ-ს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების ათვისებისა და პროფესიულ კარიერაში ინფორმირებული ნაბიჯების გადადგმის მიზნით, მაკლეინის ასოციაციამ ბავშვებისათვის, დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მისცა სტაჟურების, კერძოდ, შშმ ბავშვებთან მუშაობის პრაქტიკული უნარების განვითარების საშუალება.

ინტელექტის ტესტის ნორმირება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების შესაფასებლად და შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად, აუცილებელია, ისეთი საკვლევი ინსტრუმენტის გამოყენება, რომელიც სანდოდ გაზომავს მათ შემეცნებით უნარებს. ინტელექტის საზომი ტესტის სათანადოდ გამოყენებისათვის, აუცილებელია, მოხდეს მისი ნორმირება ქართველ მოსახლეობაზე. ამ მიზნით, ორგანიზაცია „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის,“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ნებრასკას უნივერსიტეტის პროფესორის, მკვლევარ დელ ჰარნიშისა და მისი გუნდის ხელმძღვანელობით, ახორციელებს არავერბალური ინტელექტის საკვლევი ტესტის- TONY-4-ის ადაპტირებას საქართველოში, ნორმირების ყველა წესის დაცვით.

Toni -4 -ის უპირატესობა სხვა არავერბალურ ტესტებთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან (გარდა მხედველობის სერიოზული დარღვევისა). კერძოდ, არის სწრაფი (გრძელდება 10- 20 წთ.მდე), აქვს როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური ინსტრუქციები, რომელიც შესაძლებელს ხდის მის გამოყენებას სმენის დარღვევის მქონე ბავშვებთან, ასევე, შეფასებისას არ მოითხოვს ბავშვისგან მეტყველებასა და მოტორულ კომპონენტს.

აღნიშნული ტესტის ნორმირების შემდეგ, „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის,“ გაუზიარებს მას განათლების სამინისტროს მულტიმედიაციური გუნდს და ასევე, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებს.

ცხელი ხაზი

მაკლეინის ასოციაციაში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციულ მხარდაჭერას და რესურსების ხელმისაწვდომობას შშმ პირთა საკითხებზე საქართველოს მასშტაბით.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ ცხელი ხაზის მომსახურებით ყოველ სამუშაო დღეს 10 სთ.დან 18 სთ.მდე.

დაკავშირება შესაძლებელია, როგორც ტელეფონით, ასევე ფეისბუქის საშუალებით.

ცხელი ხაზი: 558 05 55 88; 599 588 226

Facebook – McLain Association for Children

www.macgeorgia.org

ცხელი ხაზი

ჩვენ ვართ არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან. ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლები არიან, განათლების ფსიქოლოგი, კლინიკური ნეიროფსიქოლოგები და ოკუპაციური თერაპევტები. ვინაიდან ჩვენ ვართ საქველმოქმედო ორგანიზაცია, ჩვენი ყველა მომსახურება უფასოა.

დღესდღეობით საქართველოში ბევრი ცალკეული პირი და ორგანიზაცია მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე. 'მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის' აფუძნებს **ცხელ ხაზს**, რომ უზრუნველყოფს ინფორმაციული მხარდაჭერა და რესურსების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მთელი საქართველოს მასშტაბით.

ვთავაზობთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მათ მშობლებს, მასწავლებლებს, სერვისის მიმწოდებლებს და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს დაგვიკავშირდნენ და მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია.

ამისათვის საჭიროა მობილიზება გავუკეთოთ ერთიან ბაზას, სადაც დავარეგისტრირებთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს. მოხარულნი

ვიქნებით, რომ გაგვიზიაროთ ინფორმაცია თქვენი საქმიანობის შესახებ. ცხელ ხაზზე მომართვის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს მივცემთ თქვენს კოორდინატებს. გთხოვთ, შეავსოთ კითხვარი და გადმოგვიგზავნოთ.

თათია მჭედლიშვილი
ცხელი ხაზის პროგრამის კოორდინატორი
„მაკლენის ასოციაცია ბავშვებისთვის“

ცხელი ხაზის კითხვარი

ორგანიზაცია:

საკონტაქტო პირი

სახელი, გვარი:

თანამდებობა:

საკონტაქტო ნომერი:

1. რა სახის მომსახურებას სთავაზობთ ბენეფიციარებს?

- სამედიცინო მომსახურება;
- ფსიქოლოგიური მომსახურება;
- იურიდიული მომსახურება;
- საგანმანათლებლო და პროფესიული მომსახურება;
- ოჯახის წევრების მხარდაჭერა;
- დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა;
- სხვა _____

2. მომსახურების ფორმა:

- დღის ცენტრი
- დანესებულება სადღეღამისო მომსახურებით
- შინ-მოვლა
- სხვა _____

3. სთავაზობთ თუ არა მომსახურებას უცხო ქვეყნის მოქალაქეებს?

- დიახ არა

4. ვისთან მუშაობთ?

- მიუთითეთ ბენეფიციართა კატეგორია _____
- მიუთითეთ ასაკობრივი ზღვარი _____
- მიუთითეთ ბენეფიციარებისა და მომსახურე პერსონალის თანაფარდობა _____

5. თანამშრომლები:

- ექიმი (მიუთითეთ) _____
- ფსიქოლოგი
- ოკუპაციური თერაპევტი
- ფიზიკური თერაპევტი
- მეტყველების თერაპევტი
- აღმზრდელი
- მასაჟისტი
- იურისტი
- სხვა _____

6. მომსახურება უფასოა?

- დიახ (მიუთითეთ რა სახის მომსახურება) _____
- არა
- სხვა _____

7. მისამართი

8. (ფაქტობრივი): _____

8. საკონტაქტო ინფორმაცია:

- ტელეფონის ნომერი _____
- ვებსაიტი _____
- სხვა _____

9. სხვა ინფორმაცია, რასაც ისურვებდით, რომ გაგვიზიაროთ:

ნენსი ჰ. ფინი

ბავშვი ცერებრული დამბლით
ცერებრული დამბლა მედიცინის მახედალაზი

რა არის ცერებრული დამბლა?

ცერებრული დამბლა (ბავშვთა ცერებრული დამბლა) – არის სხეულის სივრცეში მოძრაობის და მდგომარეობის (პოზის) კონტროლის დარღვევა. ცერებრული დამბლის მქონე ადამიანებს ხშირად მოძრაობა არ შეუძლიათ ისე, როგორც ჩვენ დავდივართ, დავრბივართ ან დავსტივართ. მათ გააჩნიათ აგრეთვე ნატიფი მოძრაობების დარღვევებიც – ისეთების, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ ხელის თითებით საგნების მანიპულიაციის დროს. ხშირად არასწორია სხეულის მდგომარეობა, (პოზა) მოძრაობის ან ჯდომის დროს. მაგალითად, იმის მაგვირად, რომ იდგეს სიმეტრიულ და თავისუფალ პოზაში ჰემოპარეზის (ცერებრული დამბლის ფორმა, როდესაც მოძრაობითი დარღვევები გამოხატულია მხოლოდ სხეულის ერთ მხარეს) მქონე ადამიანი დგება ტერფების შიგნით შეტრიალებით, ცალი ხელის იდაყვი მოხრით ისე, რომ ხელი უჭირავს მუცელთან. ცერებრული დამბლის ჰიპერკინეტიკური ფორმის მქონე ადამიანებს ძალიან უჭირთ უმოძრაოდ დგომა მუდმივი უნებლიე მოძრაობების გამო.

ცერებრული დამბლა ვითარდება მოუმწიფარი თავის ტვინის დაზიანების შედეგად და ყოველთვის იწყება ბავშვთა ასაკში. უფროსებში, განსაკუთრებით ხანდაზმულებში, მაგალითად ინსულტს ან ტვინში სისხლჩაქცევას, შეუძლიათ გამოიწვიონ თავის ტვინის დაზიანება და ამის საფუძველზე მოძრაობითი დარღვევები, რომელიც ძალიან არ განსხვავდება ბავშვთა ცერებრული დამბლის დროს გამოწვეული მოძრაობითი დარღვევებისაგან.

მაგრამ არის ერთი დიდი განსხვავება ბავშვისა და მოზრდილი ადამიანის ტვინს შორის: მოზრდილის ტვინი უკვე ფორმირებულია და მეტი აღარ ვითარდება და არ იზრდება, ხოლო ბავშვის ტვინი კი იზრდება და ვითარდება, ის ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებს სრულად. ამიტომ თავის ტვინის დაზიანების შედეგი ბავშვსა და მოზრდილს შორის სხვასდასხვავვარად გამოიხატება.

ცერებრული დამბლის დროს დაზიანების კერა თავის ტვინში არ ფართოვდება და დაზიანება არ იზრდება, მაშინ, როდესაც მოძრაობითი დარღვევების გამოწვევი ზოგიერთი დაავადების, მაგალითად კუნთური დისტროფიის დროს, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში წარმოიშობა დეგენერაციული ცვლილებები, რომლებიც, სამსუნუხაროდ, ნელა, მაგრამ პროგრესირდება. ე.ი. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის თავის ტვინს გააჩნია “დაკონსერვებული” დაზიანება, რომელიც თავისთავად არ იცვლება. ამრიგად, ცერებრული დამბლა – მოძრაობისა და პოზის კონტროლის არაპროგრესირებადი, სახეუცვლელი დარღვევაა, რომელიც წარმოიშობა ბავშვობის დროს. ახლადდაბადებულს ან ცოტა მოზრდილ ბავშვს ცერებრული დამბლა შეიძლება განუვითარდეს ავტოკატასტროფის და ქალა-ტვინის დაზიანების შედეგად. თუ ბავშვი ტრავმას მიიღებს შედარებით გვიან ასაკში,

მაშინ, გამოყვანებული დარღვევები ყველაზე უფრო, იმის მსგავსი იქნება, რომელიც წარმოიშობა უფროს ასაკში.

ცერებრული დამბლის ფორმები

გამოყოფენ ცერებრული დამბლის ორ ძირითად ფორმას: სპასტიკურს, როდესაც ბავშვის კიდურები დაჭიმული და კუნთები სუსტია და ჰიპერკინეტიკურ (ან დისკინეტიკურ) ფორმას, რომლისთვისაც დამახასიათებელია უნებლიე მოძრაობები. უნებლიე მოძრაობების სხვა ტიპი შეინიშნება ატაქსიის დროს (ე.ი. მოძრაობის კოორდინაციის დროს), ცერებრული დამბლის ჰიპერკინეტიკური ფორმის მქონე ბავშვს უნებლიე მოძრაობები წარმოექმნება სისტემატურად, მაშინაც კი, როდესაც ის გაუნძრევლად ჯდომას ცდილობს. ეს უნებლიე მოძრაობები მას ხელს უშლის მიზანმიმართული მოქმედების შესრულებაში (სიარულის, ხელით ნატიფი მოძრაობების შესრულებისას და ა.შ.).

ატაქსიის ფორმის მქონე ბავშვს – მაგალითად, როდესაც ის უმოძრაოდ ზის, უნებლიე მოძრაობები არ გააჩნია, მაგრამ აქტიურ მოძრაობები გამოსდის უხეში და მოუქნელი. **სპასტიკური** ფორმის მქონე ბავშვების მოძრაობები შეზოჭილია, და ხშირად ასეთ ბავშვებს საერთოდ ძალიან უძნელდებათ ნებისმიერი მოძრაობის შესრულება. **ათეტოიდური** და **ატაქსიური** ფორმების დროს, ჩვეულებრივ, თუმცა არა ყოველთვის, მოძრაობითი დარღვევები გამოხატულია მთელი სხეულის ყველა ნაწილზე. სპასტიკური ფორმის დროს დარღვევები შეიძლება შეეხოს მხოლოდ მის ცალკეულ ნაწილებს.

ჰემიპლეგიური ფორმის დროს მოძრაობითი დარღვევები გამოხატულია სხეულის მხოლოდ ერთ მხარეს (ე.ი. მარჯვენა ფეხი და მარჯვენა ხელი ან მარცხენა ფეხი და მარცხენა ხელი). სპასტიკურობა ჩვეულებრივ გამოხატულია ხელებზე, ვიდრე ფეხებზე, ამიტომ პრაქტიკულად ცერებრული დამბლის **ჰემიპლეგიის** ფორმის მქონე ყველა ბავშვს შეუძლია სიარული, მაგრამ ხელების მთლიანად გამოყენება ასეთ ბავშვს არ შეუძლია – ის, როგორც წესი, ემსახურება მხოლოდ “საყრდენად” ან “ჯანმრთელი” ხელის დასახმარებლად.

დიპლეგიური ფორმის დროს უფრო დიდი ხარისხით მოძრაობითი დარღვევები გამოიხატება ფეხებში, ვიდრე ხელებში. ეს ფორმა ხშირად გვხვდება იმ პატარებში, რომლებიც უდროოდ დაიბადნენ. ტეტრაპლეგიის დროს დარღვევები გამოხატულია როგორც ზედა კიდურებში, ასევე ქვედა კიდურებშიც. არის კიდევ სხვა, უფრო ნაკლებად გავრცელებული ტერმინები: **ორმაგი ჰემიპლეგია** (დაზიანებულია როგორც ხელები, ასევე ფეხები, მაგრამ ხელები უფრო მეტი ხარისხით), **ტროპლეგია** (დაზიანებულია სამი კიდური), **მონოპლეგია** (დაზიანებულია მხოლოდ ერთი ხელი ან ფეხი). ამ ტერმინებით აღინიშნება ცერებრული დამბლის შედარებით იშვიათი ფორმები.

რეგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცერებრული დამბლის მქონე ბავშვს დარღვეული აქვს სხეულის სივრცეში მოძრაობის და მდგომარეობის (პოზის) კონტროლი. ეს გამოწვეულია თავის ტვინის დაზიანებით. სინამდვილეში შეიძლება დაზიანებული იყოს არა მარტო მოძრაობითი, არამედ თავის ტვი-

ნის ნებისმიერი სხვა ფუნქცია; პრობლემები, რომლებიც შეიძლება ამის გამო წარმოიშვას, განხილული იქნება ქვემოთ. და მინც, დაზიანების მიზეზებს ეძებენ თავის ტვინის იმ განაყოფებში, რომლებიც პასუხს აგებენ მოძრაობაზე. თუ დაზიანებულია თავის ტვინის ქერქის დიდი ზონა(თავის ტვინის ქერქის ნაწილი), მაშინ ვითარდება ცერებრული დამბლის სპასტიკური ფორმები; თუ დაზიანებულია ტვინის უფრო ღრმა სტრუქტურები, წარმოიქმნება ჰიპერკინეტიკური ფორმები. ეს კლასიკური აღწერა წარმოდგენილია ყველა სახელმძღვანელოში, მაგრამ ყველა ბავშვის ცერებრული დამბლის ფორმებს შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური მახასიათებელი.

ცერებრული დამბლის წარმოშობის მიზეზები

ვიქტორიანულ ეპოქაში მოიაზრებოდა ცერებრული დამბლის წარმოშობის ორი ძირითადი თეორია. ერთი მათგანი იყო დიდი ფსიქონალიტიკოსის ზიგმუნდ ფროიდის ჯერ კიდევ მანამდე თქმული წინადადება, სანამ ფსიქიატრიით დაინტერესდებოდა. ის თვლიდა, რომ ტვინის დაზიანება, რომელიც იწვევს მის დეზორგანიზაციას, წარმოიშობა ბავშვის დაბადებამდე. მეორე დიდი ვიქტორიანელი – ქირურგი –ორთოპედი უილიამ ლიტლი თვლიდა, რომ ტვინი ზიანდებოდა მშობიარობის დროს. ლიტლის თეორიის თანახმად, ცერებრული დამბლის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მშობიარობის დროს ბავშვის ტვინში ჟანგბადის არასაკმარისი რაოდენობით მიწოდება. ეს განმარტება ყველაზე პოპულარული გახლდათ ბოლო 20-30 წლის განმავლობაში და მიგვიყვანა იქამდე, რომ ცერებრული დამბლით დაბადებული ბავშვების მშობელთა დიდი რაოდენობას (განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში), საჩივარი შეჰქონდათ სასამართლოში მეთანების წინააღმდეგ.

ამჟამად ცნობილია, რომ ახლადდაბადებულები საკმაოდ მსუბუქად, ვიდრე წარმოგვედგინა, იტანენ ჟანგბადის დეფიციტს. ხოლო სამშობიარო გზების გავლა, რომელიც, ეჭვგარეშეა, მძიმე და ტრავმულია ბავშვისათვის, არც ისე ხშირად იწვევს თავის ტვინის დაზიანებას.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების 40-50% დროზე ადრე და ფიზიკურად განუვითარებელი იბადებიან. ასეთ ბავშვების თავის ტვინის დაზიანების რისკი მშობიარობის შემდეგ განსაკუთრებით დიდია. უდროოდ დაბადებულ ბავშვების სისხლძარღვები და მასთან ერთად თავის ტვინის სისხლძარღვების კედლები სუსტი და მყიფეა. მათი დაზიანების დროს საკმაოდ ხშირად წარმოიქმნება სისხლდენა – ტვინისშიდა სასხლჩაქცევები. მცირე, განყვრცადი სისხლჩაქცევა არ არის საშიში, მაგრამ ის თუ ძლიერადაა გამოხატული, მაშინ შესაძლებელია გამოიწვიოს სერიოზული ფუნქციური დარღვევები. საგულისხმეა, რომ სახელდობრ ზიანდებიან ტვინის ის განაყოფები, რომლებიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, პასუხს აგებენ მოძრაობის მართვაზე. ტვინის პარაკუჭებში სისხლჩაქცევის შედეგად მძიმე დაზიანების შემთხვევაში, ცერებრული დამბლა უწვითარდებათ ასეთ ბავშვთა 90%-ს. ამიტომ უკიდურესად საჭიროა იმ ახლადდაბადებულთა

მუდმივი ყურადღება და დაკვირვება, რომლებიც დროზე ადრე იბადებიან, ამასთან დაკვირვების დროს აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული თავის ტვინის ულტრაბგერითი გამოკვლევა. ასეთი გამოკვლევის დროს შესაძლებელია ყველაფრის დანახვა, რაც ხდება თავის ტვინის პარაკუჭებში და დიაგნოზი დავსვათ როგორც პატარა, არასამიმ, ასევე შედარებით სერიოზულ სისხლჩაქცევების შესახებ. გარდა ამისა შესაძლებელია დაზიანებული ქსოვილის დანახვაც.

თუმცა, ეჭვგარეშეა, თავის ტვინის პარაკუჭებში სისხლჩაქცევები წარმოადგენენ ცერებრული დამბლის გამომწვევის სერიოზულ საფუძველს, მაგრამ არსებობენ კიდევ სხვა ფაქტორები, რომლებსაც ჯერ კიდევ მუცლადყოფნის დროს შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ თავის ტვინზე. ერთი ყველაზე გავრცელებული მოვლენა ნაყოფის ემბრიონულ სტადიაში – ისაა, რომ მისი განვითარება შეიძლება მოხდეს ძალიან სწრაფად: 12 –13 კვირის ორსულობის დროს ნაყოფი, თუმც ერთი ციცქნაა, გამოიყურება როგორც ნამდვილი ადამიანი. ფეხები, ხელები, გული და ყველაფერი უკვე აქვს, მაგრამ ტვინი ჯერ კიდევ პატარა ბურთულას ნააგავს; მისი სწრაფი განვითარება იწყება ორსულობის მეორე-მესამე ტრიმესტრში და გრძელდება დაბადების შემდეგაც. თავის ტვინის უჯრედები არა მარტო ინტენსიურად იყოფა, არამედ გადაადგილდებიან ტვინის შიგნით: ფორმირდება ნერვული გზები. გასაკვირი არ არის, რომ ასეთ პატარა ორგანოში ასეთი სერიოზული ცვლილებები თავისუფლად მიმდინარეობს. ჩვენ ვიცით რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც დამაზიანებლად მოქმედებს ნაყოფის თავის ტვინის განვითარებაზე. ეს, მაგალითად, ალკოჰოლი და კოკაინია, კიდევ ზოგიერთი ინფექცია, ისეთი, როგორც წითელაა და ა.შ.. კიდევ არის თავის ტვინის დაზიანების გამომწვევი ფაქტორები, რომლებიც დღემდე ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

ხანდახან ასეთი დაზიანებები შეიძლება მოხდეს ბავშვის დაბადების შემდეგ. ცერებრული დამბლის ჰემიპლეგიური ფორმის დროს თუ გამომწვევი მიზეზები არა, ცნობილია თუნდაც თავის ტვინის დაზიანების მექანიზმი, რადგან ის ნააგავს ინსულტის სურათს დიდებში. განსაზღვრული არტერია კვებავს თავის ტვინის განსაზღვრულ მონაკვეთს. სისხლჩაქცევა, რომელიც ხდება არტერიის დაზიანების დროს, ან თრომბოზი, როდესაც მიმდინარეობს მისი შედეგება, აზიანებს თავის ტვინის განსაზღვრულ ნაწილს. ჰემიპლეგიური ფორმის ზოგიერთი შემთხვევა დაკავშირებულია თავის ტვინის მშობიარობის შემდგომ დაზიანებასთან, რომელიც, შესაძლებელია ხდება ახლადდაბადებულის თავის ტვინის სისხლძარღვების სიმყიფის გამო, რომლებმაც, რატომღაც ვერ მოასწრეს გამხდარიყვნენ საკმარისად მტკიცე დედის მუცელში განვითარების დროს.

დღეისათვის გამოკვლევების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ თავის ტვინის დაზიანებული ნაწილები. ეს ხანდახან შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ როდის დაიწყო მათი წარმოშობა, მაგრამ ყოველთვის არ არის შესაძლებელი გავიგოთ თავის ტვინის დაზიანების წარმოშობის მიზეზები. ხანდახან ისლა

დაგვრჩენია ვთქვათ – "ტვინის ეს მონაკვეთი და-ზიანებულია, მაგრამ რატომ – ჩვენ არ ვიცით".

რამდენად ხშირად გვხვდება ცერებრული დამბლა?

ბოლო 30-40 წლის განმავლობაში, ცერებრული დამბლით დაბადებული ბავშვების რიცხვი განვითარებულ ქვეყნებში, პრაქტიკულად არ იცვლება. ეს რიცხვი ცოტა შემცირდა 1970-1980-იან წლებში, მაგრამ ამჟამად ისევ შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია: ამჟამად ცერებრული დამბლით 1000 ახლად-დაბადებულიდან იბადება სულ მცირე ორი ბავშვი.

ცერებრული დამბლის გამომცნობა და დიაგნოსტიკა

ზოგიერთ მშობელს ახლადდაბადებული ბავშვის გამო ძალიან ადრე ექმნება მღელვარების საფუძველი. ექიმებს მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ გააფრთხილონ მშობლები ბავშვის განვითარების შესაძლო პრობლემების შესახებ. ზოგიერთ ბავშვს წარმოეშობა მწვანე მენინგიტი ან კრუნჩხვები, რომლებიც ხანდახან იწვევს ცერებრულ დამბლას. ზოგიერთ შემთხვევაში პატარა ბავშვის მშობლები ოთხი, ხუთი, ექვსი თვის შემდეგ ამჩნევენ, რომ ბავშვი ჩამორჩება მოძრაობის განვითარებაში.

მოკლედ, დგება დრო, როცა ექიმმა უნდა დაადგინოს აქვს თუ არა ბავშვს ცერებრული დამბლა. ცერებრული დამბლის დიაგნოსტიკა მოითხოვს სხვა მიზეზების გამორიცხვას, რომლებსაც შეუძლიათ მსგავსი დარღვევების გამოწვევა. ხშირად ისინი ისეთი საშიში დაავადებებია, როგორცაა სიმსივნე ან დეგენერაციული დაავადებები. კეთდება სისხლის ანალიზი. მისი შემადგენლობის გამოკვლევა, სწავლობენ ქრომოსომებს, რომლებიც ატარებენ მემკვიდრეობით ინფორმაციას. უნდა ითქვას, რომ ცერებრული დამბლა მემკვიდრეობით ძალიან იშვიათად გადადის. არსებობს მხოლოდ სპასტიკური დიპლეგიის ერთი ფორმა, რომელიც ატარებს მემკვიდრეობით ხასიათს, მაგრამ ის გვხვდება ცერებრული დამბლის ოცი შემთხვევიდან ერთხენ. ამასთან, ზოგიერთი ექიმი საერთოდ არ თვლის ამ პარაპლეგიას ცერებრული დამბლის ფორმად. საერთოდ, მანამდე, სანამ გადანწყვიტავთ მეორე ბავშვის გაჩენის საკითხს, უკეთესია მოელაპარაკოთ ექიმ-გენეტიკოსს, თუმცა იმის ალბათობა, რომ ისიც დაიბადება ცერებრული დამბლით, ძალიან ცოტაა, მაშინ, როდესაც, მაგალითად, მეორე ბავშვის უდროოდ დაბადების რისკი უფრო მაღალია. ყოველივე ეს მართლაც ღირს რომ გაანიღლიზოთ ექიმ-გენეტიკოსთან.

ასევე მიმდინარეობს გამოკვლევები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ტვინის აგებულება. თავის ქალის ჩვეულებრივი რენდგენოგრაფია არ იძლევა ბევრ ინფორმაციას ტვინის შესახებ, მაგრამ სხვა გამოკვლევების, ისეთის, როგორც კომპიუტერული ტომოგრაფია, ან მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიაა ძალიან ხშირად იყენებენ ბავშვის ტვინის შესასწავლად და საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, სადაა განლაგებული დაზიანებული მონაკვეთები. ულტრაბგერითი გამოკვლევები (ან ნეიროსონოგრაფია) შეიძლება

გამოვიყენოთ მანამდე, სანამ პატარას ყიფლიბანდი მთლიანად დაეხურება, ესე იგი, სანამ თავის ქალის ძვლები საბოლოოდ არ შეხორცდება. არის კიდევ გამოკვლევის უფრო რთული მეთოდები, ისეთები, როგორც პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფია, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ გარკვეული ნივთიერებების მიმოცვლა თავის ტვინში.

უეჭველია, კიდევ გამოჩნდება ახალი, თავის ტვინის გამოკვლევის უფრო ზუსტი მეთოდები. ხანდახან აკეთებენ კიდევ ერთ გამოკვლევას – ელექტროენცეფალოგრაფიას, რომელიც განსაკუთრებულად რეკომენდებულია კრუნჩხვითი მოვლენების შემჩნევის შემთხვევებში, თუმცა ცერებრული დამბლის დროს ელექტროენცეფალოგრამის მრუდი შეიძლება ხშირად ატარებდეს დებორგანიზაციის ხასიათს და ამ შემთხვევაში ძნელი ხდება დადგენა აქვს თუ არა ბავშვს ეპოლეფსია, ჰქონდა თუ არა მას კრუნჩხვები.

იმის შემდეგ, როდესაც ჩატარდება აუცილებელი გამოკვლევა, გამოირიცხება სხვა დაავადებები, აუცილებელია გადაწყდეს – აქვს თუ არა ბავშვს ცერებრული დამბლა, – ჩვეულებრივ ეს ირკვევა ბავშვის სიცოცხლის პირველ - მეორე წელს. დიაგნოსტიკის პერიოდი ძალიან მძიმეა მთელი ოჯახისათვის. არანაკლებად მძიმე პერიოდი დგება დიაგნოზის დასმის შემდეგ. ძალიან ხშირად ბავშვის მშობლები ფიქრობენ, რომ ექიმები გაუგებრად ან ძალიან ცუდად უხსნიან მათი ბავშვის მდგომარეობას. შესაძლებელია ხანდახან ეს ასეც არის. მაგრამ შოკი, რომელსაც მშობლები განიცდიან დიაგნოზის ცნობის შემდეგ, რომ მათ შვილს გააჩნია სერიოზული დარღვევები, ხშირად ხელს უშლის ინფორმაციის აღქმაში, ხოლო ბედთან შეგუება ხდება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ამ შემთხვევაში უკეთესია, როგორც მშობლები, ასევე ექიმები მოემზადონ წერიტი ურთიერთობისათვის. მე ყოვენთვის ვცდილობ ჩაიწერო ჩემი რეკომენდაციები. ამ რეკომენდაციებს მშობლებს ვაძლევ მათთან ჩემი საუბრის შემდეგ. მე ვთხოვ მშობლებსაც ჩაიწერონ ის შეკითხვები, რომლებიც სურთ მე დამისვან და შემისწორონ ის, თუ კი აღმოაჩენენ ჩემს ჩანაწერებში მათი ბავშვის შესახებ რაიმე არაზუსტ დასკვნებს. ბავშვის ახლობლები ცდილობენ გაიგონ ყველაფერი მისი მდგომარეობის შესახებ და რაც შეიძლება სწრაფად გააკეთონ ის ყველა შესაძლებელი, რაც მას დაეხმარება

არის კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ მწარე სინამდვილესთან შეგუების მომენტი, რომელიც უნდა გაირკვეს ადრეულ პერიოდში, – რომ დაზიანებული ტვინის მორჩენა შეუძლებელია: დღეისათვის არ არსებობს მეთოდები, რომელიც საშუალებას მოგვცემენ ტვინიდან დაზიანებული ნაწილის მოშორებას და მისი ჯანმრთელი ნერვული ქსოვილით ჩანაცვლებას. შეიძლება ეს მოხდეს XXI საუკუნის შემდეგ პერიოდში, მაგრამ დღეისათვის არ არსებობს. სხვა მხრივ, არსებობს ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის დახმარების მრავალი მეთოდი, რომელის აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ მისი კეთილდღეობისათვის

გაგრძელება შემდეგ ნომერში სხვა პრობლემები



მოძრაობა ბავშვის ჯანმრთელობას აყალიბებს

იგორ დოლიძე

რეაბილიტოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, ჟურნალ „იმედი +“-ს ექსპერტი.

ადამიანის მოძრაობითი აქტიობა ყოველთვის იყო, არის და იქნება მისი ორგანიზმის განვითარების, ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობა. არისტოტელე თავის დროზე სამართლიანად აღნიშნავდა – “ადამიანის ორგანიზმის ისე არაფერი ცვლის და არღვევს, როგორც ხანგრძლივი ფიზიკური უმოქმედობა”. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მოძრაობითი აქტიობის სრული გამოთიშვა ან მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა ადამიანის ორგანიზმზე დამლუპველად ზემოქმედებს.

ადამიანის ჯანმრთელობა იწყება არა მარტო მისი დაბადების წუთებიდან, არამედ, ჯერ კიდევ ნაყოფის ჩასახვამდე, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მისი მშობლების ჯანმრთელობასთან და წინაპრების გენეტიკურ კოდთან. სამწუხაროდ ამ პრობლემას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ჰიპოდინამია, ანუ კუნთური უმოქმედობა, ყოველ ნაბიჯზე საშიშროებას უქმნის ნებისმიერ ადამიანს. ეს ადრეც ხდება, სანამ ის გააკეთებს თავის პირველ ნაბიჯებს. დედის მუცლადყოფნის პირობებში ნაყოფი რიგ შემთხვევაში ჟანგბადისა და საკვების უკმარისობას განიცდის, რაც შიმშილს იწვევს. ეს კი, მას აიძულებს იმოძრაოს, რათა მოიპოვოს თავისი “საარსებო პური” პლაცენტრიდან არტერიული სისხლის ნაკადის გაძლიერებული “გადმოქაჩვის” შედეგად. ამით ნაყოფი აყალიბებს თავის ფიზიკურ სხეულს, სტიმულირებას უკეთებს ქსოვილებისა და ორგანოების ზრდას. ამასთან, ჩატარდა საინტერესო გამოკვლევა, რომელმაც გამოავლინა შემდეგი: ორსულები, რომლებიც ჭარბად იღებენ საკვებს, მათი სისხლი ჭარბად გაჯერებულია მაღალკალორიული ნივთიერებებით და საფრთხეს უქმნის ნაყოფის მოძრაობას. ჭარბი საკვებით გაჯერებული ნაყოფი ჰიპოდინამიურია, რაც ამოკლებს მის სიცოცხლისუნარიანობას მანამდე, სანამ დაიწყება ჩვილის სიცოცხლის ოფიციალური ათვლა.

დღეს ექიმები ორსულებს უკრძალავენ საკვების ჭარბ მოღებას და აძლევენ მეტი მოძ-

რაობის რეკომენდაციას. ორსულ სპორტსმენებზე დაკვირვებამ, რომლებიც წრთვას გადიოდნენ ცურვაში, მეცნიერებს მისცა საშუალება, დაედგინათ მნიშვნელოვანი ფაქტი: სპორტსმენი დედების ბავშვები ბევრად უფრო ადრე იწყებდნენ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, ვიდრე არანავარჯიშევი დედების შვილები.

ბავშვი მოძრაობისადმი მოთხოვნილებას აქტიურად ავლენს დაბადების პირველი წუთებიდან, როცა ბავშვის დედა მოძველებული ტრადიციის მიხედვით ცდილობს მაგრად შეფუთოს თავისი “პანანინა”, ამაზე ის პროტესტით პასუხობს – ხვნეშის, იჭმუხნება და კიდევაც ტირის. ბავშვისათვის მოძრაობა წარმოადგენს სიხარულის წყაროს, ხოლო კარგი გუნება-განწყობა იძლევა კარგი ჯანმრთელობის საფუძველს. სისტემატურად ჩატარებული გამაჯანსაღებელი ფიზიკური ვარჯიშები (მასაჟი და ტანვარჯიში), ხელს უწყობს ნერვული სისტემის აგზნებისა და შეკავების პროცესების ნორმალიზებას. აქედან გამომდინარე კუნთოვანი და ნერვული სისტემების ურთიერთდამოკიდებული მუშაობის პროცესი განსაზღვრავს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციის გაუმჯობესებას, რაც ხელს უწყობს ბავშვთა ჰარმონიულ აღზრდას, როგორც ფიზიკურად, ასევე გონებრივად. დიდ ხნის წინათ, ამ აზრს იზიარებდა გამოჩენილი ფიზიოლოგი ი. სეჩენოვი შემდეგი თეზისით: “კუნთების მუშაობა, ეს არის ტვინის მუშაობა”.

დღეს, მკვეთრად მოიმატა ადრეული ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის სტატისტიკურმა მონაცემებმა, რომლის ძირითად მიზეზად ასახელებენ მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიურ პირობებს, თანდაყოლილი იმუნოდეფიციტის დაქვეითებას, ახალშობილის ფიზიკური და გონებრივი განვითარების დაბალ დონეს, მზარდ ეკოლოგიურ კრიზისს, გენეტიკურ კოდში პათოლოგიურ ცვლილებებს, ბავშვთა ჯანდაცვის ორგანიზა-

ციის მოუქნელ მუშაობას და ა.შ. სახელმწიფოს ჯანდაცვის სტრუქტურები მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხით, რაც ერის სიძლიერეს განსაზღვრავს და მუდმივად უნდა ახსოვდეს ის, რომ ბავშვის ორგანიზმი მუდმივად იზრდება, რთულდება მისი ქცევა და ხასიათი – ის პიროვნება ხდება. დღეს გადასინჯვას მოითხოვს კლასიკური პედიატრიის მრავალი რეკომენდაცია, რაც მნიშვნელოვნად არ შეესაბამება სხვადასხვა ასაკობრივი პერიოდის ბავშვთა ფიზიოლოგიის სპეციფიურ თავისებურებებს. დღემდე არსებული ადრეული ასაკის ბავშვების ორგანიზმზე ფიზიკურ-განმავითარებელ ღონისძიებათა ზემოქმედების, დანყების ვადებისა და ჩატარების მეთოდიკა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულია. მეცნიერ-პედიატრთა ნაწილი ფიზიკური ვარჯიშისა და მასაჟის დანიშნვის ოპტიმალურ ვადად თვლიან ბავშვის 1.5-2 თვის ასაკს, რაც ავტორების შეხედულებით, განპირობებულია ბავშვის ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებებით. თუმცა ზოგიერთი მეცნიერთა ჯგუფის რეკომენდაციით, ფიზიკური ვარჯიშების გამოყენება მიზანშეწონილია ბავშვთა უფრო ადრეულ – 2-3 კვირის ასაკიდან და ცალკეულ შემთხვევებში სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე (ი. არშავსკი, მ. ტრუნოვი, ლ. კიტაევი და ა.შ.). ამ უკანასკნელთა მტკიცებით, სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე ბავშვისათვის აუცილებელია მოძრაობა, ვარჯიში, რაც ხელს უწყობს მოზარდის ორგანიზმში არსებული ბიოენერგეტიკული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას და განაპირობებს სხვადასხვა დაავადების მიმართ ბავშვის ორგანიზმის მაღალ იმუნო-ბიოლოგიურ მდგომარეობას.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დავრწმუნდით, რომ დაბადების პირველი დღეებიდანვე დანყებული ჩვილის გამაჯანსაღებელი პროცედურები (მასაჟი და ტანვარჯიში) ადრეულად ხელს უწყობს ბავშვის სხეულის სიგრძეში ზრდას და კუნთური მასის მომატებას, რაც შემდგომში განპიროვნდა (ხუთწლიანი დაკვირვების შემდეგ) მისი ორგანიზმის ადაპტირების გაუმჯობესებაზე გარემოში არსებულ არახელსაყრელ პირობებთან. ისინი საგრძნობლად უსწრებდნენ ფსიქო-მოტორული განვითარების მხრივ საკონტროლო ჯგუფის (არანავარჯიშები 2,5 თვის ასაკიდან) ბავშვებს. საგულისხმოა ისიც, რომ ადრეულ ასაკში ნავარჯიშები ბავშვები გაცილებით ადვილად ექვემდებარებოდნენ აღზრდის პროცესს,

სწრაფად უმუშავდებოდათ სწორი დინამიკური სტერეოტიპი და მყარად ინარჩუნებდნენ ორგანიზმის სტატიკურ და დინამიკურ ფუნქციებს (დგომა, ჯდომა, სიარული, ცოცვა) ბავშვის ჰარმონიულ აღზრდაში, რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დედის პიროვნულ თვისებებსაც პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ნიჭის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ვადასტურებთ, რომ ადრეული ასაკის ახალშობილებისათვის არ არის ნაჩვენები წინააღმდეგ მასაჟისა და გამაჯანსაღებელი ტანვარჯიშის გამოყენება, დოზირებული კუნთური დატვირთვა, მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ახალი ადაპტაციის და კომპენსატორული მექანიზმების სრულყოფას, რაც ორგანიზმში განაპირობებს ნივთიერებათა ცვლის ოპტიმალურ რეგულაციასა და ნორმალური ჰომეოსტაზის შენარჩუნებას.

ი. არშავსკი მიუთითებს, რომ მოძრაობითი აქტიობის აუცილებელი მოცულობის გარეშე დაბადებული მოუმწიფებელი ადამიანის ნაყოფს არ შეუძლია გაიაროს თავისი ორგანიზმის ფორმირებისათვის საჭირო მომწიფების აუცილებელი ფაზები, ხოლო მოზრდილ პერიოდში ადამიანს არ შეუძლია დააგროვოს სტრუქტურული ენერჯია, რომელიც აუცილებელია ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის და სტრესის მიმართ წინააღმდეგობის განევისათვის.

ამრიგად, ადამიანის სიცოცხლეს, როგორც ყველა ცოცხალი არსების ცხოველმოქმედებას და ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების წარმართვას, განაპირობებს, მოძრაობა (ფიზიკური აქტიობა).

ყველა ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ ფიზიკური აქტიობა – ბუნებით დაკანონებული ბრძანების შესრულების მოთხოვნილებაა.


მისი აუცილებლად შესრულება ყველა ადამიანისათვის გადაუდებელ პირობას წარმოადგენს, რა თქმა უნდა ასაკის, სქესის და ჯანმრთელობის ხარისხის გათვალისწინებით. ამ მხრივ, სასურველია, გავიზიაროთ, არშანსკის სიტყვები – “ადამიანი მოძრაობითა და განვითარებით ქოქავს თავისი ცხოვრების საათს”.

ყოველი ბავშვის ორგანიზმში დევს ბუნებისაგან მინიჭებული მოძრაობისადმი მოთხოვნილება. ბავშვისთვის გასწრება სირბილში, ცალ ფეხზე ხტუნაობა – შეჯახებები ისევე ბუნებრივი და აუცილებელია, როგორც სუნთქვაა. ბავშვის ერთ მხიარულ სიმღერაში ასეთი სიტყვებია: “ჩემს შიგნით მუდმივი ძრავა, მუდმივი მორბენალი და მუდმივი სახტუნაო დევსო”... .

შემოქმედება



ნოდარ მამაცაშვილი



ალალი, გულქართლი ბიჭი იყო გოდერძა. გამმეტი, ყველას დახმარებისთვის აკაზმული. როგორც ნაღვარეველები ამბობდნენ: ნაქცეულ ვაზს რო ნახამს, ჭიგოდ შეეყუდებო. მაგრამ უსახური კი იყო, შავ-შავი, დაბალ-დაბალი, ჯმუხად ჩადგმული. სქელი, გადაბმული ნარბები მკაცრ იერს აძლევდა სახის ოვალს, ღრმადჩასმული თვალებიდან პირქუშად გამოიმზირებოდა. ჩუმი იყო, ენამრავლობა არ გამოუდიოდა. მითუმეტეს, თუ რამეზე აღელდებოდა, მაშინვე ენა ებორკებოდა და ლულულზე გადადიოდა. სოფელში მუდო გოდერძას ეძახდნენ: მარტო სიფათზე ეკუთვნის „სროკო“. ვინ რა იცოდა, გულში როგორ ძლიერ ენადა ბაღლებს მოჰფერებოდა, თავზე ხელი გადაესვა. გოგოებს გამოლაპარაკებოდა, ქების სიტყვა ეთქვა. მოხუცებისთვის თბილი სიტყვა დაეგდო, ხელი ნაეკრა რამეზე. ერთი სიტყვით, ის გაეკეთებინა, რაც სხვებს ეგრე იოლად და ბუნებრივად გამოსდიოდათ.

სხვა უბედურებაც სჭირდა მუდო გოდერძას, მის ქალაქურ ყოფას რომ უკავშირდებოდა. ნახალოვკაში, სადაც პატარა, ბუდრუგანასავით ოთახი ეჭირა, ეზოს ბიჭებმა ერთ მშვენიერ დღეს მარჯვენა ხელის მტევნის ზურგზე თავისქალა ამოუსვირინგეს. ხათრით უარი ვერ უთხრა გოდერძამ, ემანდ არ ეფიქრათ, აჯამი სოფლელიაო, თორემ რა ჭირად უნდოდა ეს ტატუ. რომელი შავი ეგ იყო. თითების მოძრაობაზე თავისქალის ძვლები თრთოლვას იწყებდნენ, თითქოს გორგლად დახვეული გველი იზმორებო. თავად „მასტერა“ – ამ შედეგის შემოქმედი, აღტაცებით რომ შეჰყურებდა საკუთარ შემონაქმედს, ვერასდროს

ნარმოიდგენდა, თუ რა პრობლემა შეუქმნა უნებურ დამკვეთს. ზამთრობით კიდე არაუშავდა რა. სხვა დროს თუ გრძელსახელოებიანი არ ეცვა გოდერძას, სულ ჯიბისკენ გაურბოდა ხელი.

იმ ავბედით დღესაც ჩვეულებრივად გაელვია მუდო გოდერძას, ხელპირი ეზოში, საერთო ონკანზე დაიბანა, მერე ცოტა ძეხვი და პური წაიციცქნა და ავტობუსის გაჩერებაზე გავიდა. სამსახურამდე დიდი გზა ედო. ბაზრობაზე ერთ პავილიონში რომელიც ასე ჰგავდა მის ბუდრუგანას, მუსიკალურ კასეტებს და დისკებს ჰყიდდა. აქ კი ნამდვილი ბატონპატრონი იყო. ათასი ჯურის ხალხი შემოდოდა მის ბუდრუგანაში ყოველდღე. გოდერძა ეგრევე ცნობდა, ვინ რისი მოყვარული იყო, რა ინტერესი ასულდგმულებდა. სოფელს, ქალაქურ ჟარგონზე მონდომებულად მოლაპარაკე ბიჭებს უმეტესად კაშიას, ბუჭუნას და თამაზას სიმღერები მოსწონდათ, ღიპიან, მოქეიფე ბიძებს – სამი დალიე და ლეილას რეპერტუარი, პროვინციელ, საპნის ოპერის მოტრფიალე გოგოებს – „პრისიონერა“ ან ფიქრისა და გულვერას დუეტი. თინეიჯერები, როგორც წესი, დისკებს იძენდნენ, მოზრდილები – კასეტებს. ყველაზე მეტად კლიენტისგან ასეთი მიმართვა აღიზიანებდა: „ერთი კაი რამე ამომირჩიე , ჯიგარო!“ „მე დიდი რეპერტუალი მაქს, ძმაო, რავი შენთვის კაი რა არი“. უგემოვნოებს ვერ იტანდა. თუმცა არასდროს ეკამათებოდა.

ყვითელი ავტობუსიც მალე მოვიდა. გოდერძა ავიდა, ბილეთი აიღო და სალონს თვალი მოავლო. თავისუფალი ადგილი არ ჩანდა. უკან გადაინია, ჩამსვლელებისთვის ხელი რომ არ შეეშალა და სკამის საზურგის სახელურს ჩასჭიდა მარჯვენა ხელი. მის წინ მოხუცი, სანდომიანი ქალი იჯდა. გოდერძას მოეჩვენა რომ, სადღაც ენახა.

ფანჯარაში დილის ქალაქის პირქუში, ნაცრისფერი კადრები ენაცვლებოდა ერთმანეთს. გოდერძას სოფლის მონატრება მოეძალა. მდინარისკენ ლამაზად გადახრილი წნორები, ნაღვარევის გრილი ჭალები, ჭანარზე თევზაობა პინისხევიში... უცბად მიხვდა, ვისაც აგონებდა ეს ქალი, გამოცხადებული მამიდა კატო იყო, პინისხევიში გათხოვილი. იმანაც ეგეთი სხივიანი ღიმილი იცოდა. მერე რა ალერსი სჩვეოდა, სულიები უყვარდა ენაზე: „შენ კი დაგენამლოს მამიდაშენი!“ იმიტომაც ეძახდნენ თაფლოკატოს. გოდერძას სულში საოცარი სითბო ჩაელვარა. თითქოს ამდენ ხალხში ერთადერთი თავისიანი აღმოაჩინაო. ალერსით მიაჩერდა ქალს. მოულოდნელად ტანით იგრძნო, ვილაც მის ზურგსუკნიდან რალაცას ანიშნებდა მის თაფლოს. ქალის სახეზე ღიმილი შემფოთებამ ჩამორეცხა, ხელჩანთა, მუხლებზე რომ ედო, ფაციფუცით გადამალა ზურგსუკან. გოდერძამ მის შეცბუნებულ მხერას თვალი გააყოლა და ტანში გააცია. ქალის თვალები მის ცხვირწინ მომუჭული ხელის ზურგს ჩასობოდა, საიდანაც ავისმომასწავებლად ამოჰყურებდა ადამიანური ყოფის ამოებების სიმბოლო. გოდერძა მიხვდა, ქურდად მიიჩნის. მარტო ამ ქალში არ იყო საქმე, ყველა მგზავრი მის წინააღმდეგ

განწყობილიყო. სალონში იშვიათი ერთსულოვნება იდგა. ახლა ის და ეს მოხუცი ამ ხალხის ყურადღების ფოკუსში იყვნენ მოქცეული. გოდერძამ მექანიკურად უშვა ხელი სკამის საზურგეს და ზემოთ, სახელურს ჩასჭიდა, რაც მაშინვე ინანა – პერანგის სახელო ჩამოეჩაჩა და ის, რაც აქამდე მხოლოდ ერთი მგზავრისთვის იყო ცნობილი, ახლა მთელი ავტობუსის მგზავრებისათვის გამხდარიყო თვალსაჩინო. პერანგის თეთრი სახელოდან გამოჩრილი შავი ბალნიდან ლურჯად, შემზარავად იმზირებოდა სიკვდილის გარდუვალობა. ამასობაში ავტობუსიც გაჩერდა. ქალი სწრაფად წამოდგა, ორივე ხელში ჩაბლუჯული ძველებური რედიკული მუცელზე მიეხუტებინა. მძღოლს ბილეთი აჩვენა და სასწრაფოდ ჩავიდა. გოდერძას მგზავრთა ავი მზერა საშინლად უწვავდა სახეს. ისე გრძობდა თავს როგორც პირველად აბანოს საერთო ნომერში.

უცბად საშინლად მოუნდა ეყვირა: რა დაგემართათ, ხალხო, არა ვარ მე ფინთი კაცი, მეც თქვენნაირი ვარ. მაგრამ იცოდა, ამას ვერ შეძლებდა. უცბად რალაც გადანყვიტა, წინა კარისკენ გაექანა და დაძრული ავტობუსიდან ჩახტა. არც მძღოლის უხეში შეძახილისთვის მიუქცევია ყურადღება და არც აღშფოთებული მგზავრების უკანმიდევნებელი ქოქოლასთვის. ახლა ერთი სურვილი კლავდა, დასწეოდა იმ ქალს, უბრალოდ აეხსნა, როგორ გავდა მის საყვარელ მამიდას, რომ ეს „ნაკოლა“ ნახალოვკელმა „მასტერამ“ გაუყეთა მისუნებურად, რომ ცხოვრებაში არაფერი მოუპარავს! სჯეროდა, რომ ქალი ყველაფერს გაუგებდა და ისევ იმ სხივიან ღიმილს მიაგებებდა.

ქუჩაში მათ მეტი არავინ ჩანდა. გოდერძა აედევნა. ქალმა რალაც იგრძნო და ფეხს აუჩქარა. გოდერძამაც მოუმატა ნაბიჯს. ქალი თითქმის სირბილზე გადავიდა. მდევარმა არ იცოდა, როგორ დაეძახა, რომ შეეჩერებინა და დაემშვიდებინა. აი, უკვე წამოენია კიდეც. – თქვენ, თქვენ! – განწირულივით გამოუვიდა. აქოშინებული ქალი შედგა, მკვეთრად შემობრუნდა და სასონარკვეთილმა გაუნოდა ჩანთა:

– არაფერი მაქვს, შვილო, რა გინდა!

– მე, მე არაფერი... უბრალოდ, მამიდა მყავს თქვენსეფ ბებერი.

– დამანებე თავი, პენსიაზე ვარ, რას მაგულებ!

– ყვიროდა ქალი და საშველის მოლოდინში აქეთ-იქით იყურებოდა. ნელ-ნელა ხალხიც შეჯგუფდა.

– რა გინდა ამ მოხუცი ქალისგან?! – ნიკაპის ნერვიული ცახცახით უყვიროდა სოლიდურად ჩაცმული კაცი, რომელიც გოდერძამ მასწავლებლად მიიჩნია, – კაცის ამათ არ რცხვენიათ, ღმერთის ამათ არ ეშინიათ!

– რა უნდა მინდოდეს. პინისხევი მამიდა მყავს...

– მერე ვერ დარჩი იმასთან. ჩამოვლენ აქ და თავზე იმზობენ ყველაფერს! – წინმატობდა ქალი არაქართული პრონონსით.

– პატრული სად არი, ის მოუვლის მაგას! – აუღელვებლად ისროლა სიტყვა ჩია კაცმა ისე, რომ არც გაჩერებულა.

– ხალხო, დამიჯერეთ! არა ვარ ისა...

– ზედ არ განერია, ვინცა ხარ. – თქვა ისევ იმ არაქართულპრონონსიანმა.

– ეს ნახალოვკელმა „მასტერამ“ მიქნა, მეც უარი ვერ უთხარ. – უმწეოდ უტრიალებდა ხელს ცხვირწინ განკიცხული.

– შენც კარგად აპყოლიხარ, გეტყობა! – ეს ისევ ის მასწავლებლად მიჩნეული კაცი იყო.

– არაფერი დამიშავებია, ამ ქალისთვის. თითონ შეეშინდა და დალლაპარაკება მინდოდა!

– ხოდა, იქ დაგელაპარაკებთან.

– ბბაზრობაზე ვარ, მუსიკებში, ყველა მიმიცნობს! – გამწარებული იძახდა გოდერძა, მაგრამ ხვდებოდა, არავის აინტერესებდა. ის ამ ხალხს უკვე გაემეტებინა, უფრო მეტიც, მოეკვეთა, როგორც მათთვის ზედმეტი და საშიში. რატომ? ამას ვერ მიმხვდარიყო. სასონარკვეთილი გოდერძას სმენას საიდანღაც პატრულის მანქანის სირენის ხმა მისწვდა. არ შეშინებია, უკვე სულერთი იყო.

2013 წ.

მერაბ ბერაძე

დაგვიანებული აღსარება

მე აღსარება მსურს გითხრათ ერთი, ნეტავი ახლა მისმენდეს ღმერთი, მაქვს უამრავი დანაშაული, მინდა თუ არა, გვერდს ვერ ავუვლი. უპირველესად ცოდვა მაქვს დედის, აი, მიზეზი ცრემლის და სევდის, ვერ მოვეფერე, როცა დაბერდა, როცა მიცდიდა ღია სარკმელთან. გათენებამდე ტანჯვით მელოდა, ლოდინი გახდა მისი ხელობა, მე სხვაგან ლალი და სიტყვაუხვი, დედასთან ვიყავ ძუნწი და უტყვი. იშიმშილა და იტანჯა ჩემთვის, გასამართლებლად აბა რა მეთქმის, მაგრამ მე მაშინ ვერ ვგრძნობდი ამას, იგივეს ვეტყვი დაღუპულ მამას. მეგონა მუდამ იქნება ასე, რამდენჯერ შევცდი ცხოვრების გზაზე, აკი გითხარით ცოდვა მაქვს ბევრი, ამიტომაც მდის მდულარე ცრემლი. მონანიება შორი გზით მოდის, ყველაფრისათვის მოვიხდი ბოდიშს მაგრამ ვაი, რომ არის გვიანი, რა მწარედ ცდება ადამიანი... აი, ამიტომც მოგმართავთ ყოველს, სანამ დრო არის, ეფერეთ მშობელს! მაგრამ თუ უკვე ცოცხალი არ გყავთ, იქ რომ დაადგეთ სხივი ნათელი, ნუ დაიზარებთ, დედ-მამისათვის, დაანთეთ თუნდაც ერთი სანთელი!

როლანდ სოჯანაშვილი

„მათი ჰესბიუტაჟი და მიზია ისეთი გულში ჩამვდომა, ვერასოდეს დავივიწყებ“

საჩხერის მუნიციპალიტეტში უკვე 5 წელია, არსებობს საქართველოს ყრუთა კავშირის ფილიალი, რომელიც ამჟამად 21 ბენეფიციარს ემსახურება. სმენადაქვეითებულთა გარდა, აღნიშნულ ფილიალში სხვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები გადიან არაფორმალური განათლების კურსს.



2 ნოემბერს 21 ბენეფიციარისთვის თბილისიდან ყრუთა კავშირის წარმომადგენლობა ჩამოვიდა, რომელმაც საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართა კონცერტი. ჟესტური ენითა და ფონოგრამის თანხლებით მათ შეასრულეს რამდენიმე სიმღერა, ასევე წარმოადგინეს ქორეოგრაფიული ნომრები.

ლონისძიებს დაესწრნენ ნითელი ჯვრის წარმომადგენელი და საჩხერის საკრებულოს წევრები, რომლებმაც კონცერტის მონაწილეებს საჩუქრად გადასცეს გიორგი დვალაშვილის ნიგნი „ჭიათურა და საჩხერე“.

საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალის დირექტორმა, თამარ ზაბახიძემ აღნიშნა, რომ ეს დღე წარმოუდგენლად დიდი სტიმულია

ყველა იმ შშმ პირისთვის, ვისაც ჰგონია, რომ თითქოს არ აქვთ მომავალი და ხელი უნდა ჩაიქნიონ ცხოვრებაზე: „ამ ბავშვებმა აჩვენეს საჩხერეს, რომ მიუხედავად სმენის პრობლემისა, შეუძლიათ, შეასრულონ ის, რისი შესრულებაც შეიძლება, სმენისა და მეტყველების მქონე ადამიანებს გაუჭირდეთ. ჩვენ მათი თბილი დამოკიდებულება არასდროს დაგვაგინწყდება...“

კონცერტის დასრულების შემდეგ ყრუთა კავშირის ვიცეპრეზიდენტმა მაია მეტონიძემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და მომავალ გეგმებზეც ისაუბრა: „ჩვენი გეგმებიდან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მივანოდოთ რეკომენდაციები შშმ პირთა შესახებ. აუცილებელია, მათთვის შეიქმნას ადაპტირებული პროგრამები. დღევანდელმა კონცერტმა აჩვენა, რომ სმენადაქვეითებულ და ყრუ-მუნჯ ადამიანებს შეუძლიათ ძალიან ბევრი. ახლო მომავალში ჩვენ გვენვევიან საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ წლიდან კონფერენციაში. კონფერენციაზე ძირითადად განიხილება შეეხება შშმ პირების განათლებასა და დასაქმების საკითხები...“

კონცერტის შემდეგ დამსწრე საზოგადოებას ნამდვილად ეტყობოდა ემოცია, რომლის გამოც ერთ-ერთ მაყურებელს, ნანა გაფრინდამვილს, კომენტარი ვთხოვეთ: „პირველივე ნომრის ნახვისას ცრემლებით ამევსო თვალები, ამას ვერავინ უყურებს გულგრილად. მათი ჟესტიკულაცია და მიმიკა ისეთი გულში ჩამეწვდომა, რომ ვერასოდეს დავივიწყებ...“

იგივე საკონცერტო ნომრებით საქართველოს ყრუთა კავშირი ქუთაისელი მაყურებლის წინაშეც წარდგება.

<http://www.psnews.ge/?m=2>

„ბიძინა ივანიშვილი საკუთარი ფულის 90%-ზე მეტს დახარჯავს თავისი ძველნი მოქალაქეებზე გვემავს თავისი ძველნი მოქალაქეებზე გვემავს“



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საკუთარი ფულის 90%-ზე მეტს დახარჯავს თავისი ქვეყნის მოქალაქეებზე გვემავს.

ამის შესახებ პრემიერის პრესსამსახურის თანამშრომელი ანა გოჩაშვილი „facebook“ საკუთარ გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში ისაუბრობს, რომლითაც იგი „ბლუმბერგის“ სტატიას - „საქართველოს ხელგაშლილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას გვემავს“ ეხმაურება და სააგენტოს ტენდენციურობაში ადანაშაულებს.

„რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ჩვენ ვიცხოვრებდით ქვეყანაში, რომელშიც ყველას უსმენენ, აშანტაყებენ, ვიქნებოდით მუდმივ შიშში და გავაგრძელებდით ასე დათრგუნულ ცხოვრებას ალბათ, კიდევ რამდენიმე ათეული წელი - რადგან სააკაშვილმა ქვეყნის კონსტიტუციაც კი საკუთარ თავზე მოიგრო.

ივანიშვილს შეეძლო უზრუნველად, მშვიდად ეცხოვრა მთელი დარჩენილი მისი ცხოვრება. პოლიტიკიდან წასვლა კი ბიძინა ივანიშვილის ისეთივე შორს გამიზნული და კარგად გათვლილი ნაბიჯია, როგორც მისი მოულოდნელი შემოსვლა პოლიტიკაში. ეს არის საქართველოს უახლეს ისტორიაში უპრეცედენტო ნაბიჯი და მაგალითი იმისა, როგორ არ უნდა გახდეს თანამდებობისა და ძალაუფლების მონა.

სწორედ ქართველი ხალხის სიყვარულმა და პასუხისმგებლობის გრძნობამ, რომელსაც ქვეყნის წინაშე უნდა გრძნობდეს თითოეული მოქალაქე, მიაღებინა ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლის გადანყვეტილება და არა როგორც ეს გამოცემის ჟურნალისტებს სურთ წარმოაჩინონ, თითქოსდა საკუთარი ფულის დასაცავად - იმ ფულის, რომლის 90% მეტს დახარჯავს ისევ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებზე გვემავს.

სამწუხაროა, რომ ამის შესახებ ჩემი, ერთი მოქალაქის ანა გოჩაშვილის „facebook“ პირადი გვერდით უნდა გახდეს ცნობილი, მაშინ როდესაც ამ ფაქტის გაჟღერების ექსკლუზიური უფლება ბიძინა ივანიშვილმა „ბლუმბერგს“ მიანიჭა. დასანანია, რომ ასეთმა გავლენიანმა და პრესტიჟულმა გამოცემამ ეს უფლება ვერ ან არ გამოიყენა“, - წერს გოჩაშვილი.



იცნობდეთ გმირებს სახეზე!!! ამ ვაჟკაცებმა ალაპარაკეს ოკუპანტები. ეს ის გმირები არიან, სოფელ სპიტთან რომ განლაგდნენ და რამდენიმე საათის განმავლობაში რუსული არმიის მთა ვარ შემტევ 58 არმიის აკავებდა და ზურგს უმაგრებდა ქართულ არმიას, რომელიც ცხინვალიდან გამოდიოდა. რუსებს ისეთი ცეცხლის წვიმა დაა ტყდათ თავს, ეგონათ რომ მათ მინიმუმ ბატალიონი თუ ჩაუსაფრდებოდა. რუსებმა გამოიყენეს რაც კი რამე შეიარაღება ქონდათ ყველაფერი. ქართული პოზიციიდან ცეცხლი მაშინ შეწყდა, როდესაც ამ ვაჟკაცებს ბოლო ტყვია გაუთავდათ. სულ სამი გმირი იყო იმდროისათვის

ცოცხალი. ეს სამი ვაჟკაცი მტერს არ დანებებულა. მათ ყუმბარები გახსნეს და თავი აიფეთქეს... მტერი შოკში იყო რომ ნახა თუ ვინ ებრძოდა ამდენი ხანი მათ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ ბიჭე ბის და ყველა იმ გმირის სული, ვინც საქართველოს შესწირა თავი. ღმერთო მოგვეცი ძალა და საშვალეება დავასრულოთ ლოგიკურად ამ ბიჭების საქმე და გავამთლიანოთ სამშობლო!!! (Army.)

ინკაფხიყური განათლება

ახადი პროექტები ინკაფხიყურ განათლებაში

2013 წლიდან ინკლუზიური განათლების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ერთ-ერთი ასეთი პროექტია უსინათლო ბავშვებისათვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, 50 წლის შემდეგ პირველად, უსინათლო მოსწავლეებისათვის სპეციალური სასკოლო სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა.

2013 წელს, ასევე პირველად, საქართველოს მასშტაბით არსებულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა 8 სკოლა-პანსიონის მასწავლებლებს ხელფასი გაეზარდათ. ასევე, წელს ყველა საჯარო სკოლაში, სადაც სწავლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, დამატებითი პერსონალი-სპეც-მასწავლებელი დაინიშნა, რომელსაც სამინისტრო აფინანსებს.

უსინათლო და სუსტადმხედველი მოსწავლეებისათვის პანსიონურ მომსახურებას საქართველოს მასშტაბით ერთადერთი, თბილისის 202-ე



საჯარო სკოლა ახორციელებს. სკოლას დღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე ეწვია და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეხვდა. მინისტრი მათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის უკვე განხორციელებულ და დაგეგმილ სიახლეებზე ესაუბრა და პირადად გაეცნო მათ საჭიროებებს.

202-ე საჯარო სკოლაში დღეისათვის 49 მოსწავლე ირიცხება. პანსიონში სწავლება მიმდინარეობს როგორც ჩვეულებრივი, ისე ბრაილის შრიფტით



ნაბეჭდი სახელმძღვანელოებით. ვინაიდან ბავშვებს მრავალი წლის მანძილზე არ გააჩნდათ ბრაილით ნაბეჭდი სახელმძღვანელოები, აღმზრდელებს უხდებოდათ უსინათლო მოსწავლეებისათვის ტექსტების კითხვა და ამ ფორმით ეხმარებოდნენ მათ განათლების მიღებაში.

წელს სკოლას ხუთი მეთორმეტეკლასელი ჰყავს, ისინი საატესტატო გამოცდებში მონაწილეობენ. ამ სკოლის კურსდამთავრებულები ერთიან ეროვნულ გამოცდებს ყოველწლიურად წარმატებით აბარებენ. მათთვის საგამოცდო მასალა ბრაილის შრიფტზეა ადაპტირებული.

ინკლუზიური განათლება საქართველოში

„ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“, ფარგლებში, თბილისის 64-ე და 166-ე საჯარო სკოლებში სენსორული (სმენა) და აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე პირველი საფეხურის მოსწავლეთათვის ინტეგრირებული კლასები ამოქმედდება, სადაც მოსწავლეები მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო სერვისითა და კვალიფიციური სპეციალისტების მომსახურებით იქნებიან უზრუნველყოფილნი.

ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. იმისათვის, რომ საგანმანათლებლო სივრცე გახდეს უფრო ინკლუზიური და მიმღები სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. სწორედ ამ მიზნით, ხდება სკოლებში ფიზიკური გარემოს მომზადება, მასწავლებელთა გადამზადება, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, მეთოდოლოგიის გამართვა. კონკურსის წესით შეირჩა ინტეგრირებულ კლასის სპეციალისტები: ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, დამხმარე მასწავლებელი, მეტყველების თერაპევტი, სურდოპედაგოგი, დამხმარე სპეციალისტი (ძიძა).

1 ოტომობრიდან ინტეგრირებული კლასის სპეციალისტებისათვის სპეციალურ პედაგოგიკაში ერთთვისანი ტრენინგის კურსი დაიწყო, რომელიც

ხელს შეუწყობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და დაეხმარება მათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საგანმანათლებლო სივრცეში უკეთ ინტეგრირებისა და მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდების პროცესში. ტრენინგის მიმდინარეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური გაეცნო.

სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს მიერ, ინტეგრირებული კლასის პროფილის შესაბამისად, თემატური ტრენინგი უკვე ჩაუტარდათ აღნიშნული სკოლების დაწყებითი კლასების დამრიგებლებს.

გოჩა ვარდოსანიძე

საქართველოს აკოუმენიული და ინკლუზიური განათლების განვითარების ასოციაცია

თანამედროვე განათლებამ ახლებური მიდგომების ძიება მოითხოვა განათლების სისტემაში. ამ მიმართებით გარკვეულ მუშაობას ეწევა საქართველოს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების ასოციაცია, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, ომისა, სოციალურად დაუცველი, ობოლი, ოჯახის და სხვაგვარი ძალადობის მსხვერპლი მოზარდებში პროფესიონალიზმის როლის აუცილებლობის გააზრება, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება და შრომის ბაზარზე ადგილის დამკვიდრება, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას.

საქართველოს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების ასოციაციის მისიაა - აღნიშნული კონტიგენტის დასაქმების და კეთილდღეობისათვის მათი პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება შშმ ახალგაზრდებისთვის და ზრდასრულებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა ფენისათვის.

არაფორმალური პროფესიული განათლების ორგანიზება და აღიარება.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა.

შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უფლებების დაცვა, მათ შორის, გაეროს კონვენციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ და კონვენციის რატიფიცირების მნიშვნელობის პროპაგანდა.

შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა გაშუქება მედიაში.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების, მათი სამოქალაქო ინტეგრაცია.

პროფესიულ სახელობო სპეციალობებში ჩასართავად ასოციაციაში შემოსული ბენეფიციარი შეფასდებიან მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. რომლის შენამდგენლობაშიც შედიან: ფსიქოთერაპევტი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, მეტყველების-ენის თერაპევტი (ლოგოპედი), პროფესიული განათლების პედაგოგი და ადმინისტრაციის პედაგოგი. შეფასება ითვალისწინებს ბენეფიციარის ძლიერ და სუსტი მხარეების გამოვლენას, რის საფუძველზეც შედგება კონკრეტული ბენეფიციარის ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის, შესაძლებლობა სპეციალური საჭიროების მქონე ბენეფიციარის საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვისა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას, შეზღუდული შესაძლებლობების და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციარისთვის ორიენტირებულად დაიგეგმოს დროის ყოველი მონაკვეთი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბენეფიციარები შეისწავლიან სახელობო პროფესიულ სპეციალობებს პროფესიულ კოლეჯებში, თექა/გობელინი, ხეზე კვეთა, ჭრა -კერვა/დიზაინი, კალატოზი, მებათქაშის, ავტო და მოტორის შეკეთებას, სერვისის -ოპერატორი, ტიპოგრაფია, ქსოვას, ქარგვას, ბუღალტერია, ოფის -მენეჯერი, ყოველდღიური ნივთების, მოდური აქსესუარების და სასაჩუქრე ნივთების, ხელნაკეთი სამკაულების, ხელნაკეთი ბარათების დამზადებას.

ასოციაციის დახმარებით მოეწეობა გამოფენა-გაყიდვები, პროგრამებს შეისწავლიან არატრადიციული მიდგომებით, აღნიშნული კურსი ემყარა «სწავლა კეთებით» მოდელს.

ასევე შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციარები მიღებენ არაფორმალურ განათ-

ლებას, ისწავლიან ისტორიულ გმირების ისტორიას და შეისწავლიან ლეგენდებს, გამოყენებითი ართ-მეტიკას, საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის ზოგად საკითხებს. ხატვას, მუსიკას, კურსის და ტრენინგების განმავლობაში ზრდასრულები გაეცნობიან ტექნიკური სამყაროს მნიშვნელოვან მიღწევებს. სურვილის შემთხვევაში უცხო ენას ინგლისურს, რუსულს, გერმანულს და სხვა

კოლეჯის მიკრო გარემო:

** უახლესი მიდგომებით

** პროფესიონალი პედაგოგებით

** სპეციალურად შედგენილი პროგრამებით

** თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლის მეთოდებში

** ინტეგრირებული გაკვეთილებით

** მოქნილი გრაფიკით

** სასიამოვნო გარემოთი

სპეცპედაგოგის და ფსიქოლოგის დახმარებით სიღრმისეულად გაივლიან საპროგრამო მასალას, სხვადასხვა მწერლის/პოეტის შემოქმედებას ზოგადად კულტურასთან, იდენტობასთან მიმართებაში. სწავლის მეთოდში გამოიყენება კომპიუტერული პროგრამების სპეციალური მეთოდიკა. მოეწეობა პრეზენტაციები, გასვლით გაკვეთილები, ექსკურსიები. დამატებით ჩატარდება გაკვეთილები, სადაც ასაკის და ინტერესების მიხედვით შეერჩევათ ლიტერატურა. მეცადინეობებში გამოიყენება თემატური მხატვრული და დოკუმენტური ფილმები. გარკვეული თემების ირგვლივ მოეწეობა შეხვედრები და ფორუმები. ჩართული იქნებიან თეატრალურ დასში.

ეს ყველაფერი საშუალებას მოგვცემს ეფექტურად გადავანაწილოთ და დავაკოპლექტოთ სამიზენ ჯგუფები, პროფესიული-უნარჩვევების დასაუფლებლად. ბენეფიციარების ადაპტაცია და შემზადება პრობლემებზე საჯარო დისკუსიებში ჩასართავად.

სპორტი და ფიზიკური განვითარების საგნის სწავლების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფსიქო –ფიზიკურ განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის, როგორც ფასეულების, განმტკიცებისა და შესაბამისი უნარ –ჩვევების გამომუშავებას. ესენია: სამართლიანი თამაში, გუნდური სულისკვეთება, ინდივიდუალური და გუნდური თვითგამოხატვა, ურთიერთდახმარება, შინაგანი დისციპლინა, ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა, პაუზისმგებლობის განაწილება და ლიდერობა, არაძალადობრივი ურთიერთქმედება, კოლეგიალობა, ურთიერთგაგება. დამატებით ჩაუტრდებათ შეხვედრები, შეადგენენ გეგმას თემაზე- „შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მონაწილეობა ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე განხორციელებულ საქმიანობებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში,, „ახალი ეკონომიკური საქმიანობაში და ინიციატივებში,, რაც პირდაპირ აისახება შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სრულფასოვანი ცხოვ-

რებისა და საზოგადოების ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობით, ასევე მათი უფლებების რეალიზაციისათვის - ხელსაყრელი პირობებისა და გარემოს შექმნაში. ჩატარდება ლექცი-სემინარი თემებზე: „ღია და დახურული საზოგადოება,, „ხალხი, ერი, სახელმწიფო,, „სამოქალაქო საზოგადოების კონცეფცია,, „რა არის საზოგადოება, დემოკრატია, თვითმართველობა,, „ადამიანის უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უფლებები, ბავშვების და მოზარდების უფლებები,, „არაფორმალური განათლება,, განიხილავენ პრობლემებს და მისი აღმოფხვრის გზებს. პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების ასოციაცია, კერძო კოლეჯების ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, ბავშვთა და ახალგაზრდული რადიოს წევრები „ერთად მომავლისთვის" დაისახავს რეგიონებში შეხვედრებს, სოფლებსა და რაიონებში მოძებნიან საზოგადოებრივად აქტიურ მოზარდებს, ეროვნული უმცირესობის წევრებს, შშმ და სსსმ ბენეფიციარებს, მათ მშობლებს, ოჯახის წევრებს, რომელნიც სამწუხაროთ არ არიან ჩართულნი საზოგადოებრივ აქტიურ ცხოვრებაში. მოინვევენ მათ სემინარზე სადაც შეეცდებიან მათთვის საინტერესო თემების წინ წამოწევა და მათთვის სასურველი მიზნების განალიზებას, შემდგომში საზოგადოებრივ ცხოვრებაში გააქტიურებისათვის.

სპორტის სწავლება:

ჩააბას მოსწავლე ფიზიკურ აქტივობებში და ამ გზით ხელი შეუწყოს მის ფიზიკურ განვითარებას; გააცნობიერებინოს ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში;

გამოუმუშაოს ისეთი სამოქალაქო უნარ –ჩვევები, როგორცაა: დამოუკიდებლად გადანეცილებების მიღება, პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა.

მიზანი:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სოციალური ინტეგრაცია

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ფიზიკური განათლების ხელშეწყობა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქიკური და ფიზიკური განვითარება.

პრინციპები:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სპორტულ აქტივობებში ჩართვა:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის თანაბარი პირობების შექმნა.

შესაბამისი სპეციალისტებისა და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების ჩართვა სასწავლო პროცესში;

ფიზიკური განათლების მიზანმიმართული და მრავალმხრივი საგანმანათლებლო პროცესი;

წინო გურულო

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მნიშვნელობა და მისი იმპლემენტაციის მექანიზმები



გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია -UNCRPD და მისი დამატებითი ოქმი 2006 წლის 13 დეკემბერს მიიღეს და ხელმოსაწერად 2007 წელს გაიხსნა. ამავე დღეს კონვენციას ხელი მოაწერა 82-მა სახელმწიფომ, ხოლო დამატებით ოქმს 44-მა სახელმწიფომ. აღსანიშნავია,

რომ ხელმომწერების ეს რიცხვი, კონვენციების ხელმოსაწერად გახსნის პირველივე დღეს, უპრეცედენტოა გაეროს ისტორიაში. კონვენცია ძალაში 2008 წლის 3 მაისს შევიდა. დოკუმენტს 2013 წლის სექტემბრის მონაცემებით ჰყავს 158 ხელმომწერი და 136 მონაწილე სახელმწიფო. მისი შესრულების მონიტორინგს აწარმოებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, რომლის კომპეტენციაც სახელმწიფოებზე ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეუერთდებიან კონვენციის დამატებით ოქმს.

გაეროს შუამდგომლობით პირთა უფლებების კონვენცია 21-ე საუკუნის პირველი ყოვლისმომცველი ადამიანის უფლებების ხელშეკრულებაა ამ სფეროში. უმნიშვნელოვანესია UNCRPD-ის როლი, ვინაიდან, მისი შინაარსი სრულად ცვლის შუამდგომლობით დაკავშირებით აქამდე არსებულ დამკვიდრებულ მიდგომებსა და ხედვებს. იგი ღრმად ფესვგამდგარ სამედიცინო მოდელს ცვლის სოციალურ-კულტურული მოდელით. ამ კონვენციის კონცეპტების თანახმად, შუამდგომლობები დახმარების საჭიროების მქონე ობიექტებიდან გადაიქცევიან ყველა სახის უფლებების მქონე სუბიექტებად, საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.

კონვენცია შეზღუდულ შესაძლებლობას წარმოაჩენს არა პიროვნების ნაკლოვანებად არამედ, საზოგადოების პრობლემად, მის უუნარობად საკუთარ თავში დაიტიოს და მოიცვას ყველა, ყოველგვარი განსხვავებულობის მიუხედავად.

UNCRPD-ის პირველ მუხლში განსაზღვრულია დოკუმენტის მიზანი, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ყველა უფლებითა და თავისუფლებით სრულყოფილად და თანასწორად სარგებლობასა და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემის ხელშეწყობას.

UNCRPD ემყარება შემდეგ მთავარ პრინციპებს: თანდაყოლილი ღირსების, ინდივიდუალური ავტონომიის, მათ შორის თავისუფალი არჩევანის და პიროვნების დამოუკიდებლობის პატივისცემა; დისკრიმინაციის აკრძალვა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და ქმედითი მონაწილეობა

და ინტეგრაცია; განსხვავებულობის პატივისცემა; თანასწორი შესაძლებლობები; ხელმისაწვდომობა; ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა და პატივისცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განვითარების პროცესის/ამ ბავშვების უფლებისა, შეინარჩუნონ საკუთარი პიროვნება.

UNCRPD ნევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვა არა მხოლოდ საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით/გაძლიერებით, არამედ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებამქმლავი პრაქტიკების შეცვლით. UNCRPD სახელმწიფოს ვალდებულებად მიიჩნევს ებრძოლოს სტერეოტიპებს, არსებულ სტიგმებს და საზოგადოებაში დამკვიდრებული წარმოდგენები ახალი მიდგომებით ჩაანაცვლოს.

ამასთან, UNCRPD სახელმწიფოს ვალდებულებად ასევე ადგენს მისი პოლიტიკის ყველა მიმართულებაში თუ პროგრამაში გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა. იგი ასევე განსაზღვრავს, რომ მხარე სახელმწიფოებმა თავიანთი სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემების შესაბამისად, მისი იმპლემენტაციის ხელშეწყობის, დაცვისა და მონიტორინგის მიზნით, უნდა შეინარჩუნონ, გააძლიერონ, გამოყონ ან შექმნან ჩარჩო მექანიზმი, რომელიც უნდა მოიცავდეს ერთ ან მეტ დამოუკიდებელ მექანიზმს. ამასთან, მნიშვნელოვანია რომ მონიტორინგის პროცესში სრულად მონაწილეობდნენ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათ მიერ შექმნილი ორგანიზაციები (DPO-ები). მთავრობამ უნდა შექმნას ან გამოყოს საკოორდინაციო მექანიზმი სხვადასხვა სექტორებსა და დონეებზე საჭირო ქმედებების დასაჩქარებლად.

ცალკეულმა ქვეყნებმა UNCRPD-ის რატიფიცირებისათვის მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწიეს, თუმცა, კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით შემუშავებული პოლიტიკა ამ სახელმწიფოში განსხვავებულია. შესაბამისად, საინტერესოა ამ საკითხის განხილვა ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს მაგალითზე.

მაგალითად, შვედეთმა ამ მიმართულებით ძირითადი აქცენტი გააკეთა სამთავრობო გეგმებისა და სტრატეგიების შემუშავებაზე, სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ მიზნად კი შუამდგომლობის საზოგადოებრივი ცხოვრების სრულად ინტეგრაცია და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ამ თემის მეინსტრიმიზაცია დასახა, ასევე მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიმართა შეზღუდული შესაძლებლობის გამო პირის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე და ყველასთვის დამოუკიდებელი

ცხოვრების პირობების შექმნაზე. შვედეთში ამ პოლიტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს, შვედეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პოლიტიკის მაკოორდინებელი სააგენტო ჰანდისამი (The Swedish Agency for Disability Policy Coordination (Handisam)), თანასწორობის ომბუდსმენის ინსტიტუტი და სხვა ორგანოები.

ესპანეთში UNCRPD-ის იმპლემენტაციისთვის შეიქმნა სამინისტროთაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლიდა ესპანეთის სამართალს მისი UNCRPD-ის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კანონმდებლობის და გარემოპირობების UNCRPD-სთან შესაბამისობის მონიტორინგს და ხელშეწყობას ამჟამად ახორციელებს მთავრობის მაკოორდინებელი მექანიზმი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნული საბჭო“. ეროვნული საბჭო არის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც შედგება ყველა სამინისტროსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლებისაგან. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნული საბჭოს ფარგლებში დაარსდა „მუდმივი სპეციალიზებული ოფისი“, (OPE). ამ ორგანოს ფუნქციებია წარდგენილი საჩივრების შეფასება, ანალიზი და შესწავლა, კონსულტაციების გაწევა დისკრიმინირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ასევე ესპანეთში არსებობს საარბიტრაჟო სისტემა, რომლის პასუხისმგებლობაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაძლებლობის თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული საჩივრებისა და მოთხოვნების განხილვა. ესპანეთში კომპეტენციები განაწილებულია ცენტრალურ მთავრობასა და ავტონომიურ რეგიონებს შორის. ერთობლივი საქმიანობის მეთოდოლოგია ხელს უწყობს UNCRPD-ის პირობების და დებულებების მოქმედებას როგორც რეგიონულ ისე სამთავრობო დონეზე.

დანიაში – დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი, დანიის საპარლამენტო საბჭო და დანიის საპარლამენტო ომბუდსმენი წარმოადგენენ UNCRPD-ით დადგენილი უფლებების განვითარების, დაცვისა და მონიტორინგის საფუძველს.

ამათგან, დანიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტის (The Danish Institute for Human Rights) მიზანია UNCRPD-ის ხელშეწყობა, დაცვა და მონი-

ტორინგი. იგი მჭიდროდ თანამშრომლებს სამოქალაქო საზოგადოებასთან, კერძოდ DPO-ებთან. დანიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭოს ამოცანაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი, მას ასევე ეკისრება მრჩევლის როლი მთავრობისა და პარლამენტისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე. დანიის საპარლამენტო ომბუდსმენის მთავარი ფუნქციაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორი მოპყრობის შესახებ მონიტორინგია.

აღნიშნულმა ქვეყნებმა შექმნეს და გააძლიერეს ერთი მხრივ, ინსტიტუტები, რომლებიც ყველა დონეზე პასუხისმგებელი არიან კონვენციის იმპლემენტაციაზე და ამასთან, შექმნეს მექანიზმები, რომელიც აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგს თავად დაინტერესებული ჯგუფების მონაწილეობის გზით ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც გასწიეს სხვადასხვა განვითარებულმა სახელმწიფოებმა, კვლავ მრავალი პრობლემა აქტუალური შპმ პირების უფლებების დაცვის კუთხით. გასათვალისწინებელია, რომ იმ გამოწვევებზე პასუხი, რომელიც დგას ამ მიმართულებით არ არის მარტივი და ხანმოკლე დროში მიღწევადი შედეგი. UNCRPD-ში მოცემული შპმ პირთა უფლებების სტანდარტი ასახავს მათი უფლებების დაცვის იმგვარ მოდელს, რომელიც სახელმწიფოებისაგან მოითხოვს სათანადო ძალისხმევას, სწორი პოლიტიკის გატარების გზით მისი სრული იმპლემენტაციისათვის.

უდავოა, რომ UNCRPD წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტს, მათი შესაძლებლობებისა და სრულყოფილი ინტეგრაციის ეფექტურ ინსტრუმენტს, რაც საქართველოს მიერ მისი დროული რატიფიკაციის მნიშვნელობასა და გარდაუვალობაზე მიუთითებს.

ბლოგი მომზადებულია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ განხორციელებული კვლევის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის პრაქტიკა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში“, საფუძველზე

ვ. ჯაჩესოვი
მინუსით რეაბილიტაციას
მიზნის სწორად განსაზღვრა და ნებაყოფილი კომპონენტები რეაბილიტაციის პროცესში

პარაპლეგიით და ტეტრაპლეგიით დაავადებული ყველა ავადმყოფი შეკითხვაზე — “რა გსურთ მიიღოთ რეაბილიტაციისაგან?” — პასუხობენ, რომ — “გვსურს დავდგეთ ფეხზე”.

მიზნის ასეთი განსაზღვრა არ არის სწორი, შეცდომაა და მის გამო ავადმყოფიც და მისი მომვლელებიც დეზორიენტირებულია. ფეხზე დაყენება, რა თქმა უნდა, შეიძლება, თუნდაც კედელზე მიყრდნობით და საბჯენების შედგმით, მაგრამ გამოვა ამით რამე?

რატომ ვაკეთებთ ჩვენ ყურადღების აქცენტირებას მიზნის სწორად განსაზღვრაზე? დიდი გამარჯვება პატარ-პატარა გამარჯვებებით მიიღწევა. მაგრამ,

გამარჯვებად ხომ არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ავადმყოფი რამდენიმე წუთით ფეხზე დავაყენოთ სხვადასხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით და ისევ დავანვინოთ ლოგინში?

მოდით განვიხილოთ — დამბლით დაავადებულითა პირველი ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ არ შეუძლიათ თვითმომსახურება პარალიზებული კიდურების უმოძრაობის გამო. ამოცომა ავადმყოფის დასახმარებლად საჭიროა ახლობლების და ნათესავების ძალისხმევა, რომლებიც

იძულებულნი ხდებიან მიატოვონ სამუშაო, მეორე რიგში გადაწიონ ყველა მათთვის საჭირო ღონისძიებები (გართობა, გატაცება, ჰობი და ა.შ.) და შეასრულონ მომვლელის, მათთვის არადამახასიათებელი ფუნქცია. საერთო ჯამში, დეპრესიაში ვარდება არა მარტო ავადმყოფი, არამედ მისი მომვლელიც.

ნეიროქირურგებს აქვთ ამ სიტუაციის ხატოვანი, და ამავე დროს ზუსტი განსაზღვრება — “კისრის ნაწილის ტრავმით გამოწვეული ერთი დაზიანებული საზოგადოება იღებს 200-300% სანიტარულ დანაკარგს. ამასთან, საზოგადოება ავადმყოფის დანაკარგთან ერთად მომვლელების სახით იღებს პროფესიონალების დანაკარგსაც, რომლებიც იძულებული ხდებიან თავი მიანებონ სამუშაოს, რათა მიხედონ თავიანთ ავადმყოფს”.

როგორ შევძლოთ დამოუკიდებელ ადამიანად გახდომა და ახლობელი ადამიანები გავანთავისუფლოთ მოვლისაგან? — აი პირველი პრობლემა!

მეორე კი ეთიკურ-მორალური პრობლემაა, რომელიც დაკავშირებულია პაციენტის კუჭ-ნაწლავის ფუნქციონირებასთან და მის მართვასთან. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ტეტრაპლეგიის დიაგნოზის მქონე ადამიანებს ეს პრობლემა პირველხარისხიან პრობლემად ექცევათ და ფარავს თავისი მნიშვნელობით ყველა დანარჩენ პრობლემას. მიზნად უნდა დავისახოთ არა ძნელად მიღწევადი, არამედ რეალური მიზანი. მაგალითად: “მე გავდივარ ინტენსიურ რეაბილიტაციას იმისათვის, რომ ვისწავლო თვითმომსახურება და ჩემს ირგვლივ არსებული ადამიანები გავანთავისუფლო ჩემი მოვლისაგან. მე შემიძლია და ამავე დროს მსურს დავუბრუნდე წინანდელ პროფე-

სიას და წინანდელ მიღწევებს. მე მსურს დავეუფლო ჩემთვის მისაწვდომ ახალ პროფესიას” და ა.შ.

მიაქციეთ ყურადღება — ამგვარად დაყენებულ მიზანში არ არის იდეა “დავდგე ფეხზე”. სინამდვილეში, მიზნად დასახული იდეა გამსჭვალულია, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებლობის სურვილით. ხომ მართალია, არავინ არ ცდილობს იმას, რომ “იდგეს ფეხზე” ან “დამოუკიდებლად იაროს ტუალეტში”. რიაბილიტაციის ძირითადი მიზანი “მინდა, მაგრამ არ შემიძლია-ს” მდგომარეობიდან “მინდა და შემიძლია-ს” მდგომარეობაში გადასვლაა. მაგალითად “მინდა, მაგრამ არ შემიძლია ხელის და ფეხების მოძრაობა” მდგომარეობიდან “მინდა და შემიძლია ხელის და ფეხების მოძრაობა”-ში გადასვლა და ა.შ.

თქვენ ხომ გსურთ დაკარგულის აღდგენა, ე.ი. გახდეთ თვითმყოფადი, მაქსიმალურად დამოუკიდებელი ადამიანი. აი, ეს არის ძირითადი მიზანი, რომლისკენაც საჭიროა ლტოლვა. როგორც კი ავადმყოფი გადავა “მინდა და შემიძლია” მდგომარეობაში (განწყობა მიზნის დასაძლევად), მისი შემდგომი გაუმჯობესება უკვე დამოკიდებულია იმ ვარჯიშებზე, რომლის ჩატარებასაც ავადმყოფი შეძლებს დამოუკიდებლად, სხვა ადამიანების დახმარების გარეშე.

ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ თვითრეაბილიტაციის პროცესში ავადმყოფი ფეხზე აუცილებლად დადგება, მაგრამ ამას გააკეთებს იმიტომ კი არა, რომ უბრალოდ ფეხზე დადგეს, არამედ მიაღწიოს იმ მნიშვნელოვან მიზანს, რომელიც მან მიზნად დაისახა,

თუ ავადმყოფი და მისი ახლობლები ჩანვდებიან და შეიგრძნობენ ზემოთ ნათქვამს, მაშინ იდეა “დავდგე ფეხზე” გადაინეგს უკანა პლანზე.

მეურვეობა და მზრუნველობის დაწესება

როდის წასდება მეურვეობა/მზრუნველობა?

სრულწლოვანი პირების შემთხვევაში, მეურვეობა/მზრუნველობა წესდება:

- პირზე, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო;
 - სრულწლოვან ქმედუუნარიან პირზე, მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთლობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი; პირზე, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო საკუთარ ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.
- არასრულწლოვან ბავშვებს მეურვეობა/მზრუნველობა უწესდებათ მათი აღზრდის მიზნით, პირადი, ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. ბავშვისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის დანესება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც:
- სასამართლო აცნობებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ბავშვის ორივე მშობლისთვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის ან ჩამორთმევის შესახებ;

- შეჩერებულია მშობლის უფლებები და მოვალეობები;
- გარდაცვლილია ბავშვის ორივე მშობელი;
- ბავშვისათვის დანიშნული მეურვე გარდაიცვალა, ან ფუნქციები ჩამოერთვა;
- სასამართლო ბავშვს მიტოვებულად აღიარებს;
- მშობელი ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად არის აღიარებული.

ვინ არ შეიძლება დაინიშნოს მეურვე ან მზრუნველად?

- პირი, რომელსაც არ მიუღწევია თვრამეტი წლის ასაკისათვის;
- პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ;
- პირი, რომელსაც ჩამოერთვა ან შეეზღუდა მშობლის უფლება, მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისათვის თავის არიდების გამო;
- მშვილებელი, თუ შვილად აყვანა გაუქმდა იმის გამო, რომ იგი ჯეროვნად არ ასრულებდა მშვილებლის მოვალეობებს;
- პირი, რომელიც განთავისუფლებულია მეურვის ან მზრუნველის მოვალეობისაგან იმის

გამო, რომ იგი ჯეროვნად არ ასრულებდა ამ მოვალეობას.

რა არის მუშაკისა და მზრუნველის მოვალეობანი?

მეურვე და მზრუნველი მოვალე არიან, იცხოვრონ სამეურვეო (სამზრუნველო) არასრულწლოვან პირთან ერთად. ცალკეულ შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვით, შეიძლება მზრუნველისა და სამზრუნველო პირის ცალ-ცალკე ცხოვრება, თუ აღნიშნული ორგანო მივა იმ დასკვნამდე, რომ მათი ცალ-ცალკე ცხოვრება უარყოფით გავლენას არ მოახდენს სამზრუნველო პირის აღზრდაზე, მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე. ბავშვის მეურვე და მზრუნველი ვალდებული არიან, შეასრულონ მათთვის დაკისრებული მშობლის მოვალეობები. იზრუნონ სამეურვეო (სამზრუნველო) პირის რჩენისათვის, შეუქმნან მას აუცილებელი ყოფითი პირობები, უზრუნველყონ მოვლით და მკურნალობით, დაიცვან მისი უფლებები და ინტერესები. სულით ავადმყოფის მეურვე მოვალეა, თვალ-ყური ადევნოს სამეურვეო პირის მუდმივ სამედიცინო მომსახურებას.

რა შიძლება იყოს მუშაკისა/მზრუნველის მოვალეობის საფუძვლიანი?

მეურვეობა/მზრუნველობის შეწყვეტა ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით. - მეურვეობა შეწყდება:

- თუ გარდაიცვალა სამეურვეო პირი;
- თუ სამეურვეო არასრულწლოვანმა პირმა მიაღწია შვიდი წლის ასაკს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის, კანონით დადგენილი წესით, ქმედუუნაროდ არის აღიარებული;
- თუ სამეურვეო არასრულწლოვანი პირის, რომელსაც არ შესრულებია შვიდი წელი, მშობელს აღუდგა მშობლის უფლებები და მოვალეობები;
- თუ ქმედუუნაროდ აღიარებული სამეურვეო პირი სასამართლომ ცნო ქმედუუნარიანად.
- მზრუნველობა შეწყდება:
- თუ გარდაიცვალა სამზრუნველო პირი;
- თუ სამზრუნველო არასრულწლოვანმა პირმა მიაღწია სრულწლოვანებას;
- თუ სამზრუნველო არასრულწლოვანი პირი დაქორწინდა;
- სხვა სამზრუნველო პირების მიმართ - თუ მოისპო მიზეზი, რომელმაც გამოიწვია მზრუნველის დანიშვნა.

„გალაქსი“ - მატალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია

ელექტროტექნიკის ჰიპერმარკეტი „გალაქსი“, 2011 წლის 8 დეკემბერს გაიხსნა, როგორც ტექნიკის ყველაზე დიდი სავაჭრო ობიექტი ამიერკავკასიაში. მას შემდეგ „გალაქსი“, წარმატებით მოღვაწეობს ტექნიკის ბაზარზე და განაგრძობს ქსელის გაფართოებას, როგორც დედაქალაქის ისე რეგიონალური მასშტაბით. „გალაქსი“, არის მსოფლიოში წამყვანი ბრენდების: სამსუნგის, შარპის, ჰიტაჩის და ტომობას ოფიციალური და ავტორიზებული დისტრიბუტორი საქართველოში.

კომპანია, მოღვაწეობის პირველი დღიდან, თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად, აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დახმარებისთვის გამართულ საქველმოქმედო ღონისძიებებში. უკვე მეორე წელია, გალაქსის მჭიდროდ თანამშრომლობს ფონდ „იავნანასთან“, და აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში გაჭირვებულ ოჯახებს გადასცემს საჭირო საყოფაცხოვრებო და აუდიო - ტექნიკას. ელექტროტექნიკა, ასევე, არაერთხელ გადაეცა ბავშვთა სახლებს, მათი აღსაზრდელების სურვილის შესაბამისად.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს „გალაქსის“, ქველმოქმედება და ინიციატივა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში. ამ მიმართულებით გალაქსი ასპონსორებდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ სპორტულ შეჯიბრებებს - ეტლით მოსარგებლეთათვის.,

2013 წელს გალაქსიმ დახმარება გაუწია „პირველი ნაბიჯი საქართველო“, -ს ბენეცფიციარებს. შინმოვლისა და ადრეული განვითარების პროგრამებში ჩართულმა ოთხმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველ ოჯახებიდან „გალაქსისგან“, მიიღო ფინანსური მხარდაჭერა მომდევნო 7 თვის განმავლობაში, რაც გულისხმობს, რომ ბავშვებს უსასყიდლოდ მიენოდებათ მათთვის უმნიშვნელოვანესი მომსახურებები, რომელსაც მათ „პირველი ნაბიჯი საქართველო“, აწვდის. აგრეთვე, „გალაქსის“, მიერ დაფინანსდა „პირველი ნაბიჯი საქართველოს“, ქუთაისის დღის ცენტრში სენსორული ინტეგრაციისთვის სპეციალურად შექმნილი ოთახის მოწყობა, რომელიც გულისხმობს ამ ოთახის აღჭურვას სპეციალური განმავითარებელი საშუალებებითა და აუდიო/ვიზუალური ინვენტარით. სენსორული ოთახი მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენს დღის ცენტრში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები სხვადასხვა უნარებს ივითარებენ და ამ ფორმით ხდება მათი სოციალური ქცევის გაუმჯობესება და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა.

გალაქსი მომავალშიც გეგმავს საქველმოქმედო ინიციატივების მხარდაჭერას ამ სექტორში, რათა მოხდეს სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ადაპტირებული ფიზიკური აღზრდა და სპორტი, როგორც რეაბილიტაციის პროცესის ნაწილი



თანამედროვე საზოგადოებამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლო სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული ტრავმატიზმის შემცირება. პირიქით, რაც დრო გადის დღითიდღე მატულობს მძიმე ტრავმებით დაზიანებული ადამიანების რაოდენობა, რის გამოც ტრავმირებულთა განსაზღვრულ ნაწილს უზიანდებათ ხერხემალი და ხერხემლის ტვინი. ასეთი ტრავმების საბოლოო შედეგია — მოძრაობის დაკარგვა. მეცნიერთა გაანგარიშებით 250 000 ხერხემლის დაზიანებიდან ორიმესამედი 30 წელზე ახალგაზრდაა, რომელთა უმრავლესობა მამაკაცია და აქედან გამომდინარე ხერხემლის დაზიანება კვალიფიცირებულია, როგორც მამაკაცთა ტრავმატიზმი.

პოსტტრავმული ცხოვრების მანძილზე, ზურგის ტვინის დაზიანებულთა მკურნალობის პროცესში, გამოყოფენ რამდენიმე ეტაპს და ყოველ მათგანს გააჩნია თავისი განსაკუთრებულობა. პირველ ეტაპზე მიმდინარეობს ოპერატიული მკურნალობა, რომელიც მიმართულია ფუნქციების მთლიან აღდგენისაკენ.

იმდენად, რამდენადაც ზურგის ტვინის დაზიანება ყოველთვის დაკავშირებულია ხერხემლის ტრავმასთან, ოპერაციის შემდგომი პერიოდი მოითხოვს მკაცრ წოლით რეჟიმს. ხშირად დაზიანების სირთულეს მივყავართ რამდენიმე თანმიმდევრულ ოპერაციამდე. ამასთან ერთად აუცილებელია დოზირებული სამკურნალო ფიზიკური კულტურა, რომლის ჩატარების მეთოდოლოგია საკმაოდ კარგადაა შემუშავებული. რა თქმა უნდა, მედიცინა ყოველთვის ცდილობს მაქსიმალურად შესაძლებელი შედეგის მიღწევას. ამავე დროს, ტრავმის შემდგომ მწვავე პერიოდში შეიმჩნევა საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ფუნქციის აღდგენის სხვაობა ტემპში და მოცულობაში. მეორე და განსაკუთრებით მესამე (ქრონიკულ) პერიოდში გადასვლის დროს, იმ პაციენტებში, რომლებსაც გააჩნიათ მოძრაობითი შეზღუდულობა, ან პრაქტიკულად ვერ ფლობენ ქვედა კიდურებს, ადგენენ თავისუფალი გადაადგილების (მოძრაობის) აღდ-

გენითი შესაძლებლობების რეზერვებს. ტრავმის შემდეგ პირველ კვირებში პაციენტი დარწმუნებულია, რომ ის მალე ადგება ლოგინიდან და გაივლის, მაგრამ დროთა განმავლობაში მას აუცილებლად მოუწევს ტრავმის შედეგის შეუქცევადობის აღქმა. მათგან უმრავლესობას სჭირდება ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. ამ მომენტში უკიდურესად დიდია მათი ნათესავების და ირგვლივ მყოფი ადამიანების როლი. ყველა შემთხვევაში, ახალი რეალობის აღქმას და შეგუებას სჭირდება გარკვეული დრო.

ძალიან ძნელია ფსიქოლოგიურად შეეგუო მომხდარს, და როგორც შედეგი, ზურგის ტვინის დაზიანებულთა უმრავლესობა კი არ ცდილობს, პირიქით, ზღუდავს ადამიანებთან ურთიერთობას. ამას ხელს უწყობს ის არსებული მოწყობილობები, რომელსაც შეზღუდული შესაზღვრულობის მქონე პირი ინვალიდი და დანარჩენი მატერიალური სამყარო, რომელიც არ არის ადაპტირებული ასეთი ადამიანების მოთხოვნილებებზე და, რომელიც განსაკუთრებულ სიძნელეებს ქმნის მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამავე დროს, ხდება, რომ მეგობრებთან და ნათესავებთან კონტაქტი ხშირად ხაზს უსვამს მათ საზოგადოებისაგან და შრომითი მოღვაწეობისაგან გარიყულობას და ყოველთვის არ მოაქვს ის შედეგი, რომელსაც ველოდით. ასეთი დახურული წრიდან გამოსვლისათვის საჭიროა ინტერესების, მიზნებისა და ამოცანების დასახვა, რომელიც განსაზღვრული იქნება ახლად მიღებული მდგომარეობის შესაბამისად და ახალი ცხოვრების რეალიზაციიდან გამომდინარე და, რომელშიც პაციენტს მოუწევს ცხოვრება.



ერთ-ერთ ასეთი ამოცანას წარმოადგენს ორგანიზმის სისტემების მდგომარეობის გაუმჯობესება. მკაცრი წოლითი რეჟიმის ხანგრძლივ პერიოდში მიმდინარეობს ჩონჩხის კუნთების არსებითი უმოდრაობა, რის გამოც ხდება კუნთების განღვება და მისი ძალის დაკარგვა. ხოლო ორგანიზმზე დატვირთვის გადანაწილება მოითხოვს კუნთების ადაპტაციას ორგანიზმის ახალ საარსებო პირობებთან.



ამ მიზნებისათვის არსებობს ადაპტური ფიზიკური კულტურა, რომლის შედეგად ფორმირდება კუნთების ცალკეული კუნთთა ჯგუფებს შორის ურთიერთობა (შეთავსებულობა) და ამ გზით ხდება კუნთების განვითარებაც. ადაპტური ფიზიკური აღზრდის დროს ვარჯიშიდან ახალ ვარჯიშზე თანდათანობითი და დოზირებული გადასვლა, გვაძლევს მიღწეული შედეგის შენარჩუნების საშუალებას და წარმოადგენს რეგულარული ვარჯიშის ორგანიზაციის წინა პიურობას. ამ პერიოდში მოვარჯიშის წინაშე დგება თავის ფიზიკური შესაძლებლობების გაფართოების ამოცანა. პირველ ეტაპზე — ესაა ირგვლივ არსებული ადამიანების მასზე განეულ მოვლაზე დამოკიდებულების შემცირება. შემდეგ კი წარმოიშობა შეჯიბრებითობის სტიმული. ასეთი ადამიანების ზოგიერთი ნაწილისათვის წინა პლანზე გამოდის თვითდამკვიდრებისა და თავისი ფიზიკური შესაძლებლობის გამომვლენის სურვილი. შემდეგ კი ცხოვრების ძირითად ამოცანად შეიძლება გადაიქცეს სპორტული მიზნების მიღწევა.

რა თქმა უნდა, ასეთ გზას ყველა ვერ გაივლის,

უმაღლესი მიღწევების სპორტი, როგორც შემოქმედების სახე, ორიენტირებულია მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლენაზე და აგებულია ბუნებრივი შერჩევის პრინციპებზე. ამიტომ, ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ერთეულებისათვის, ინვალიდობის მქონე პირთა ძალიან ორგანიზებული ნაწილისათვის. ზურგის ტვინის დაზიანებულთა უმრავლესობას ფიზიკური დატვირთვა სჭირდებათ ნაკლები ინტენსივობით და მოცულობით. ამ დატვირთვის ამოცანაა ორგანიზმის სარეზერვო შესაძლებლობების ამაღლება. ვარჯიშის პროცესში ხდება ფართო საზიგადოებასთან დაახლოება, ადამიანებთან კონტაქტების გამრავლება, მათ მიმართ იქმნება კეთილსასურველი ფსიქოლოგიური კლიმატი. ამასთან ერთად, ისინი თავად ხედავენ და გრძნობენ ვარჯიშის შედეგად მიღებული განვითარების დადებით დინამიკას. როგორც შედეგი, ამ ცვლილებების აგან ფორმირდება თავისი ქმედების წარმატებულობის აღქმა, რომელიც გადაიზრდება და განვითარდება სხვა შემოქმედებით სფეროებშიც. ამიტომ ადაპტური ფიზიკური აღზრდა ზურგის ტვინის დაზიანების მქონე (და ზოგადად, შეძლუღული შესაძლებლობის მქონე) ადამიანებისათვის წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობის მიმართულეობას, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული რეაბილიტაციის პროცესში და დიდ სამსახურს გასწევს მათი სოციალური ინტეგრაციის მიმართულებითაც.



ჩვენი ისტორია

ჩაჭვინებები კრწახნისის ოჯახში

თეიმურაზ პეტრიაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

ირანის ტახტისთვის მებრძოლმა ალა-მაჰმად-ხანმა, დიდი ხნის თავგანწირული, სასტიკად დაუნდობელი ბრძოლების შემდეგ, ქვეყნის თითქმის ყველა პროვინცია დაიმორჩილა, მაგრამ, ეს არ აკმაყოფილებდა, მისი მიზანი იყო მეზობელი სახანოებიც დაეპყრო და ირანისთვის მიეერთებინა. ქართლ-კახეთს კი, რუსეთთან კავშირის გამო, განადგურებით ემუქრებოდა. ეს კავშირი თავისი მიზნების განხორციელებაში უშლიდა ხელს და ერეკლეს სთხოვდა თავი დაენებებინა რუსეთისათვის.

ერეკლე შაჰს არ ენდობოდა, არ ემორჩილებოდა, მას რუსეთის დაპირებების „ფუჭი“ იმედი ჰქონდა. თუმცა კი, მაშინ სისხლისაგან დაცლილი საქართველოსათვის გადარჩენის სხვა გზის ძიებაც არ იყო იოლი. ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი, განჯის და ერევნის ხანებიც წინამძღვრობას უწევდნენ შაჰს.

1795 წლის მაისში, ალა-მაჰმად-ხანმა 70 ათასი მებრძოლი შეკრიბა და სალაშქროდ გაემზადა. თავისი დიდძალი ჯარი სამად გაყო. ერთი ნაწილი



ჩრდილოეთით, ყუბის მიმართულებით გაუშვა, მეორე, ერევნის დასასჯელად გაგზავნა, მესამე ნაწილს თავად უსარდლა, ყარაბაღში ბრძოლით შევიდა და კლდოვან მთაზე აგებულ შუშის ციხეს ალყა შემოარტყა. იბრაჰიმი თავისი ჯარით ციხეში გამაგრდა.

ერეკლემაც გადაწყვიტა დაეცვა თავისი ქვეყნის სამხრეთის საზღვრები. მას მოკავშირეების იმედიც ჰქონდა, მაგრამ განჯის ხანმა უღალატა და ალა-მაჰმად-ხანს დაემორჩილა, ერევნის ხანიც დანებდა. სომეხთა კათალიკოსის მიერ გაღებულმა დიდმა თანხამ კი ერევანი დარბევას გადაარჩინა. ერეკლეს ერთგულ მოკავშირედ ამჯერად მხოლოდ ყარაბაღის ხანი რჩებოდა.

ერეკლეს დასახმარებლად იმერეთიდან მისი შვილიშვილი, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე წამოვიდა 2000 მეზრძოლით და თბილისში, ერეკლეს 3000 მეომარს შეუერთდა. ქართველთა 5000 კაციანი ლაშქარი სამხრეთისკენ დაიძრა. დადიანი წყალდიდობის გამო ვერ მიეშველა ერეკლეს.

შუშის ციხესთან მდგარი ალა-მაჰმად-ხანი არ იმჩნევდა რა იყო მისი ყველაზე დიდი მიზანი, ისე იქცეოდა, ვითომ არც კი უნდოდა თბილისისაკენ გამოლაშქრება, სინამდვილეში კი, რუსეთთან ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდა და როცა დარწმუნდა, რომ რუსები ქართველებს აღარ მიეხმარებოდნენ, შუშის ციხეს ალყა მოხსნა და თბილისისაკენ სრაფი ტემპით წამოვიდა. მას სწორედ საქართველოს დაპყრობა-განადგურება და ერეკლეს დატყვევება ჰქონდა ჩაფიქრებული.

ერეკლემაც შემოაბრუნა ჯარი და თბილისის

დასაცავად გამოეშურა. 6 სექტემბერს ერეკლე და სოლომონი თბილისს მოადგნენ.

7 სექტემბერს, ალა-მაჰმად-ხანმა, 35 ათასი მეზრძოლით წითელი (გატეხილი) ხიდი გადმოლახა და კუმისის ტბისა და იალღუჯის ქედის მიდამოებში, სოლანლულის განაპირას, მტკვრის ახლოს, როგორც მაშინ ეძახდნენ – სარვანის მინდორზე დაბანაკდა.

9 სექტემბერს სპარსელთა პირველი შემოტევა პოზიციური ხასითისა იყო და დაზვერვით ხასიათს ატარებდა. მათი ჯარი ჯერ მთლიანად შეკრებილი არც იყო. მოწინავე რაზმები სოლანლულის ბაღებისაკენ დაიძრნენ. სოლანლულთან მომდგარ მტერს, ჩასაფრებულმა ქართველებმა საკმაოდ დიდი დანაკარგით უკან დაახევინეს.

ამ მცირე შეტაკების შემდეგ, სპარსელებმა მიიჩნიეს, რომ თბილისზე მისვლა სოლანლულიდან მიმავალი ვიწრო საქარავნე გზით, რომლის ერთ მხარეს ადიდებული მტკვარი იყო, ხოლო მეორე მხარეს კი თელეთის ქედის კლდოვანი ფერდობები, ძნელი იქნებოდა და თანმხლები მელიქების აბოსა და მეჯღუმის, ასევე ამ მიდამოს გზების სხვა მცოდნეების რჩევით, გადანყვიტეს პირველი დიდი შეტევა თელეთისა და ნალასყურის მიდამოებიდან, თელეთის ქედით შინდის-ტაბახმელაში ასვლით, იქედან კი კრწანისის ველზე დაშვებით და ამავე დროს თაბორის ქედის გადმოლახვით განეხორციელებინათ, საიდანაც იოლად მოადგებოდნენ თბილისს სეიდაბადის და აბანოთუბნის მხრიდან.

ეს შეტევა 10 სექტემბერს განხორციელდა.

სპარსელთა მოწინავე, ოთხათასკაციანი ლაშქარი თელეთიდან ტაბახმელაში ავიდა (მათ ზურგს უმაგრებდა სარვანის მინდორზე დაბანაკებული დიდძალი ჯარი) და თელეთის ქედის ჩრდილოეთის ფერდობებით, კრწანისის ველის გავლით, დაახლოებით იმ ადგილებისა სადაც დღეს ე.წ. სამთავრობო აგარაკებია, ქვემოთ, სეიდაბადისკენ, აპირებდა დაშვებას.

თეიმურაზ ბატონიშვილის ნაამბობიდან ჩანს,



რომ „დღესა ორშაბათსა, ათსა რიცხვსა სექტემბრისასა, ბრძოლა უყო მეფის ძემან დავით მენინავეთა აღა-მაჰმადისათა, ველსა ზედა კრწანისისასა მენინავე მხედრობითა და ჰყვაცა თვისთან იმერთა მხედრობანიც მცირედნიც“. იმერლების რაზმს ზურაბ წერთელი მეთაურობდა.

10 სექტემბერს, ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა და არტილერია ერეკლემ შვილიშვილს, დავითს მიაწოდო. თავად ერეკლე, სეიდაბადის ბოლოს, კრწანისის ველის განაპირას იდგა, სოლომონიც იქვე ახლდა. მათ გვერდით ათასზე მეტი მეომარი იყო თავმოყრილი და თუ მტრის რაზმები წინ, კრწანისისაკენ წამოვიდოდა, სეიდაბადისაკენ არ უნდა გაეშვათ ისინი

შესაბამისი საბრძოლო თანმიმდევრობით, რათა საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს იოლად მიშველებოდნენ განლაგდა ოთარ ამილახვრის, იოანე მუხრანბატონის, ზაქარია ანდრონიკაშვილის რაზმები (სავარაუდოდ 3 ათას მებრძოლამდე) და ასევე დაახლოებით ათასსუთასამდე იმერელი მეომარი.

ერეკლეს შვილიშვილი, დავითი, არტილერიით, თაბორის ქედის ფერდობებზე, სოლოლაკისა და ტაბახმელას გზების შეერთების მიდამოსთან იდგა. მტრის პირველი შემოტევა მას უნდა მოეგერიბინა. ერეკლეს რაზმში, გარდა ძირითადი მებრძოლები-სა, თბილისს იცავდა მისი ერთგული 200 თათარი (აღსანიშნავია, რომ ისინი 11 სექტემბერს სპარსელებმა განსაკუთრებული სისასტიკით დახოცეს). 500 იმერელი უშუალოდ ერეკლესა და სოლომონის სიახლოვეს, ქართლ-კახელთა და თათრების რაზმის გვერდით, საფრებში განლაგდა.

როგორც ავღნიშნეთ, 2000 იმერელი მებრძოლი, ჯერ კიდევ აგვისტოში შემოვიდა თბილისში და ერეკლეს ჯართან ერთად ერევნისკენ წავიდნენ.

ამ დროს რაჭის საერისთავო გაუქმებული იყო. ის ჯერ სოლომონ პირველმა გააუქმა 1769 წელს. როსტომ ერისთავს და მის შვილებს თვალეზი დათხარა. ამბობენ ჯალათს შეეცოდა და დაინდო დასასჯელები. ამის გამო, ზოგიერთ მათგანს მხედველობა ნაწილობრივ შეუნარჩუნდა. ასეთი იყო როსტომის ვაჟი გიორგი, რომელსაც თურქები ქიორბეის, ბრმა ბეგს ეძახდნენ.

სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ, 1784 წელს, იმერეთის ახალმა მეფემ, დავით გიორგის ძემ საერისთავო აღადგინა და ერისთავობა გიორგის ვაჟს ანტონს მისცა. მალე ანტონი მამამისმა, გიორგიმ შეცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ ისევ ანტონი გახდა რაჭის ერისთავი.

1789 წლიდან იმერეთის მეფე, სოლომონ პირველის ძმის, არჩილის ვაჟი, დავითი გახდა. ამავე დროს ის ერეკლეს შვილიშვილიც იყო. დავით არჩილის ძემ თავისი ღირსეული ბიძის საპატივცემლოდ სოლომონი დაირქვა და სოლომონ მეორის სახელით გამეფდა.

1789 წელს გამეფებულმა სოლომონ მეორემ

ანტონს ერისთავობა ჩამოართვა და რაჭის საერისთავოც ისევ გაუქმდა, რაჭა იმერეთის მმართველობაში მოექცა, ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ სოლომონის მებრძოლთა შორის რაჭველი მეომრების რაზმიც ყოფილიყო.

10 სექტემბრის ბრძოლა დაიწყო.

მტერი შინდის-ტაბახმელას მიდამოებს მოადგა. თაბორის ქედის სამხრეთის ფერდობებზე მოხერხებულად იდგა დავით ბატონიშვილი. მის საკმაოდ გამოცდილ არტილერისტებს, შინდის-ტაბახმელასთან, თელეთის ქედის ჩრდილოეთის მხრის იოლად გადმოსალახი ფერდობები ჰქონდათ მიზანში ამოღებული.

დავითმა თელეთიდან ამოსულ, ფერდობებზე დაშვებულ მტერს წინსვლა ცოტა დააცადა და მერე ერთბაშად დააყარა ზარბაზნის, ზამბურაკების და თოფის ცეცხლი. ბევრი სპარსელი დაიხოცა, ხმლითაც მოუწიათ მტრის კაფვა დავითის მებრძოლებს, რამდენჯერმე უკან შეაბრუნეს, თითქმის ოთხი საათის განმავლობაში იგერიებდნენ და ანადგურებდნენ მტერს, მაგრამ მათ ახალი რაზმები ცვლიდა და ზოგი კიდევ უახლოვდებოდა კრწანისის ველის იმ ადგილებს სადაც ერეკლე და სოლომონი იყვნენ გამაგრებული.

ქართლ-კახელთა ჯარი უფრო დისციპლინირებული იყო იმერლებთან შედარებით, დინჯად იბრძოდნენ ერეკლეს ერთგული თათრებიც, ისინი ერეკლეს ბრძანებას ელოდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მტერი უახლოვდებოდათ, სანგრებიდან არ გამოდიოდნენ და ადგილიდან არ იძროდნენ. იმერელმა მეომრებმა, რომ დაინახეს მოახლოებული მტერი, მოუსვენრობა დაეცყოთ, სანგრებიდან დაიწყეს გამოსვლა, „ჯიქებივით ხტოდნენ“ და მტრისკენ მიიწვედნენ. ერეკლე შენუხდა „აჩქარებით საქმე არ გამიფუჭონო“. თუმცა მალე მისცა სროლის ნება და მოახლოებული მტერიც დიდი დანაკარგით უკან მიბრუნდა.

იმერლები, მიუხედავად იმისა, რომ ხელჩართული ბრძოლის ბრძანება ერეკლეს და დავითს ჯერ გაცემული არ ჰქონდათ, რამოდენიმეჯერ გამოვარდნენ საფრებიდან, მტერს წინ გადაუდგნენ და უკანაც მისდიეს გაქცეულებს.

აქ ერთი ახოვანი მებრძოლი გამოეყო იმერელთა რაზმს, ეტყობა „ბრძოლის სიმთვრალემ გაიტაცა“, წინ წავიდა და მიეტანა სპარსელების ერთ ჯგუფს. ვინც მის ხმაღს გადაურჩა უკან შებრუნდნენ და გაიქცნენ. ის კი მარტოდმარტო გაეკიდა გაქცეულ სპარსელებს და მათი რაზმი თითქმის სერის ბოლომდე აჰყარა, საოცარი სანახავი იყო აღნაგობითაც და... მისმა თავგამოდებამ, ბრძოლაში სიმარჯვემ მტერიც კი გააოცა. გამირული შემართებით, მარჯვნივ თუ მარცხნივ, კაფავდა ყიზილბაშებს, „შემოატრიალა ხმალი და ირგვლივ კალო გააკეთა“.

იმერეთის მეღვინეთუხუცესს, სიმონ წერთელს, რომელიც სოლომონის ერთგული მებრ-

ძალი იყო და ამ ბრძოლაშიც მის გვერდით იდგა, ერეკლესაგან დავალება ჰქონდა მიცემული, რომ იმერეთის მეფეს გვერდიდან არ მოშორებოდა. მრავალი ბრძოლის მნახველი და მონაწილე სიმონი, გაცეხული გაჰყურებდა ბრძოლის ველს და იცნო ვინც იყო იმერელთა რაზმის ეს თავგამოდებული მეთაური – ეს გახლდათ რაჭველი აზნაური გოცირიძე.

გოცირიძე მარტო დარჩა გაქცეული მტრის რაზმში, მტერიც შემობრუნდა და ალყაში მოექცა გმირულად მებრძოლი. ეს რომ დაინახეს, ახალგაზრდა იმერლების დიდი ნაწილი, მათ შორის რაჭველებიც, ერთდროულად წინ გავარდნენ დასახმარებლად, მეორე მხრიდან სპარსელებსაც მიეშველათ მრავალრიცხოვანი ჯარი. უთანასწორო ბრძოლა შეიქმნა, „ერთი ასს ებრძოდა“.

გოცირიძეს განსაკუთრებული სისასტიკით შეუტიეს სპარსელებმა, ალყა გააძლიერეს, მაგრამ არ შეშინდა, უკან ვერ დაახევინს და სანამ უსულოდ არ დაეცა მკერდგანგმირული, მისი ხმლის ქნევა ძვირად უფლებოდა გარსმოსეულ მტერს.

დახოცილი ყიზილბაშების „ხორა“ დადგეს იმერლებმა, მტერს ბევრად მეტი ზიანი მიაყენეს, მაგრამ 10 სექტემბერს, შინდის – ტაბახმელადან, თელეთის ქედით სეიდაბადისაკენ ჩამოსასვლელი გზების მიდამოში, კრწანისის ველზე, გმირულად დაეცა სამასამდე იმერელი მებრძოლი, მათ შორის რაჭველებიც.

ერეკლეს და დავითის ბრძანებით, ქართველთა სხვა რაზმები გადავიდა შეტევაზე. შვიდჯერ მაინც შეაბრუნეს მტერი დაუზოგავი, ხელჩართული ბრძოლით ქართველებმა, მაგრამ მათ ახალ ახალი, დასვენებული, აღ-მაჰმად-ხანისაგან გამხნეებული რაზმები ემატებოდა თელეთის ქედის მეორე მხრიდან.

ერეკლეს ჯერ დინჯად გაჰყურებდა ბრძოლის ველს, იმედს აძლევდა თავის მებრძოლთა შემართება და „თამამად იმათი ხმლის ტრიალი“. როცა ჩათვალა, რომ მისი ბრძოლაში ჩართვა საჭირო იყო, „მოხუცებულს გული აუპრიადდა და თავის ბაირახტარს დაუძახა: – „აზატ ხანის დამმარცხებელი ბაირალი აქ მაიტა“!

ხუთას მებრძოლიან ქართველთა რაზმს წინ ჩაუდგა, ბაირალი ააფრიალა და ბრძანა: – უკან მამყვიტო „!

„ბაირალის ერთ მხარეს გამოსახული იყო ღვთისმშობელი თავის ძითა და მეორეზედ წმინდა გიორგი, რომელსაც ვეშაპი გაეგმირა შუბით“.

მტრის რაზმების შუაგულში შევარდა 75 წლის გმირი. ჯერ დროშის ტარის შუბის წვერით დაერია მათ, მერე ახალგაზრდული შემართებით იშიშვლა ხმალი, „თავისი მეომრებიც გულადად მიჰყენ“, საოცარი ბრძოლა შეიქმნა. სოლომონს გულმა ვერ მოუთმინა და თუმცა, ერეკლესგან ნაბრძანები ჰქონდა, რომ ბრძოლაში არ ჩართულიყო, შვილიშვილიც მაინც პაპას მიჰყვა „ხმალდახმალ“. სიმონ ნერეთელიც არ მოშორდა თავის მეფეს.

„ნარმოიდგინეთ მეფე ერეკლე ჯერ არ იყო იმათში გარეული, ისე მომდინდნ და როცა გაერია რანი შეიქმნებოდნენ ქართველ-იმერლები. თავიანთი საყვარელი მეფე რომ დაინახეს, ნამეტავად იმ გაფრიალებულის ბაირალითა და მეფე სოლომონიც იმათში, ასე ეგონათ მეორე სიცოცხლე მოგვემატაო, რანიც იყვნენ ერთი სამათ შეიქმნენ“ – გვიამბობს ალ. ორბელიანი. „ბევრს ომში ვყოფილვარ და ამისთანა ბრძოლა არ მინახავს. თუ წინ ბნელი არ გადაგველობებოდა, შორს გავრეკდით მტრებს. გამარჯვება მაინც, რასაკვირველია, ჩვენი იყო“ – იგონებდა სიმონ ნერეთელი. „აოტნეს მრავალნი და მრავალი სპარსი მოსრეს მას დღესა შინა“, გვაუწყებს თეიმურაზ ბატონიშვილი. „შეიქმნა ომი ფიცხელი და მისცა ღმერთმან ძლევა მეფესა ირაკლის, მრავალგზის გამარჯვებულსა და ღრმთისგან დაცულსა ბრძოლასა შინა და იმ დღეს მრავალი ყიზილბაში დახოცეს, ვიდრე მწუხრამდე იყო ბრძოლა და სილამემან განყარანა“, წერს უცნობი ავტორი.

ერეკლესა და სოლომონის, ორი ქართველი მეფის შუა ბრძოლაში გვერდითდგომით და თავგანწირვით აღტკინებული ქართველები ლომებად იქცნენ, მტერმა მათ შეტევას ვერ გაუძლო, „წინ წაიყარეს და უკან მიჰყვნენ სპარსელებს“, ცოცხლად დარჩენილები მთებისკენ გარბოდნენ, რათა თელეთისაკენ, თავიანთი ბანაკისკენ გადასულიყვნენ, სადაც მტრის ჯარის დიდი ნაწილი, მოსვენებული ნებივრობდა, მათ ახალი ძალები ემატებოდათ, მეორე დღისათვის ემზადებოდნენ. ბანაკს მიაშურა აღა-მაჰმად-ხანმაც. ახალი შებინდებული იყო, როდესაც მთის იმ ადგილზე სადაც ის იდგა, ქართველ მებრძოლთა ლანდები გამოჩნდა.

ქართველთა გმირობით, ბრძოლაში შემართებით და საოცარი თავდადებით გაცეხული მრავალგზის ნაომარი შაჰი, დადარდიანებული და ჩაფიქრებული იყო, ის არ მოელოდა მცირერიცხოვანი ქართველებისაგან ასეთ წინამძღვრობას. დიდი დანაკლისით დამარცხდნენ ამ დღეს სპარსელები... მაგრამ მიუხედავად ამისა მათი ჯარის რაოდენობა მაინც 6-ჯერ თუ 7 – ჯერ აჭარბებდა ქართველებისას. ასე, რომ ბრძოლებში დიდი გამოცდილების მქონე აღა-მაჰმად-ხანს, საბოლოო გამარჯვების იმედი ალბათ არ ჰქონდა დაკარგული.

გმირულ ბრძოლაში დაამარცხეს მტერი 1795 წლის 10 სექტემბერს ქართველებმა შინდის-ტაბახმელას სიახლოვეს, კრწანისის ველის მიდამოს მთიან ადგილებში.

ტყუილად არ ჩაუვლია რაჭველთა შემართებასაც. თუმცა, ვინ იცის კიდევ რამდენი მათგანი დაიღუპა მეორე დღეს, თბილისის მისადგომებთან.

ერეკლე და სოლომონი თავიანთი ჯარით გამარჯვებულნი შემობრუნდნენ თბილისში. მაგრამ ნაადრევი იყო ქართველთა სიხარული. ბედისწერა ქართველებს, დიდ უბედურებას უმზადებდა.

ერთობლივი გამოფენა-გაყიდვა

15 ნოემბერს კავშირმა ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ და სომხურმა ასოციაციამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის „PYUNIC“ საერთო პროექტის ფარგლებში მოაწვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ დამზადებული ნივთების გამოფენა-გაყიდვა. პროექტის დევიზი იყო „ჩვენ ვართ განსხვავებულნი თუმცა გვაქვს შესაძლებლობები“.

კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ არის არასამთავრობო არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება გონებრივი განვითარებაში შეფერხების მქონე პირებს. ორგანიზაცია ფუნქციონირებს 1990 წლიდან. აქ გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირები ჩართულნი არიან შრომით თერაპიაში. ისინი ამზადებენ სხვადასხვა ნივთებს: სურნელოვან სანთლებს, ხის დაფებს, სამზარეულოს ნივთებს და სათამაშოებს. დაუფლებული არიან ქალაქის მეორეხარისხის დასახლებებში და მისგან ამზადებენ დეკორატიული ბლოკნოტებს, მისალოც ბარათებს, კონვერტებს და ლარნაკებს. აქვე ხდება თქვის ნაწარმის დამზადება. ორგანიზაციაში ფუნქციონირებს საგამომცემლო სახლი „ანწყო“ და მასთან მიმართული საამკინძაო სახელოსნო, სადაც ხდება ნებისმიერი სახის წიგნების ბეჭდვა. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს შშმ პირების ადვოკატირებასა და ლობირებაზე. აქვე ფუნქციონირებს სემინარების კურსი სოციალურ თერაპიაში.

სომხური ასოციაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის „PYUNIC“ დაარსდა 1989 წელს, რომელიც სერვისს აწვდის 1988წ. 7 დეკემბრის მიწისძვრით დაზარალებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს. „PYUNIC“ 1990 წელს დარეგისტრირდა, როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია. ორგანიზაციის 20 თანამშრომელი და 70-ზე მეტი მოხალისე ყოველწლიურად აწვდის სერვისს და პროგრამებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, განსაკუთრებით მოზარდებს და ბავშვებს სასომხეთში. ასოციაციის მისიაა უზრუნველყოს შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია მათი უფლებების დაცვა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სპორტულ აქტივობებში ჩართულობა. ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მომგებიანი ბიზნესის წარმოება.

გამოფენა, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, გაიმართა კულტურულ საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ ცენტრ „ჰაიარტუნში“.

შშმ პირები საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდნენ

პარლამენტი, ნეტგაზეთი .

პარლამენტმა საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მესამე მოსმენით, 81 ხმით 0-ის წინააღმდეგ დაამტკიცა.

ცვლილებების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდებიან. აღნიშნული კანონპროექტი მხოლოდ იმ პირებს ეხება, რომელთა წლიური დასახებგრი შემოსავალი 600 ლარამდეა.

წარმოდგენილი კანონპროექტი ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, აგრეთვე, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეხება.

როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათში წერია, „აღნიშნული კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულის შშმ პირის ხელფასისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებას, ხოლო 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ მიღებული მოგება, რომელიც წლის განმავლობაში არ აღემატება 200 000 ლარს - მოგების გადასახადისგან გათავისუფლდება.“

ცვლილება ეხება ასევე ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტისათვის აქციზის არსებული განაკვეთების გაზრდის საკითხს.

„ფილტრიანი სიგარეტის შემთხვევაში აქციზის ფასი იზრდება 60 თეთრიდან 75 თეთრამდე, ხოლო 15 თეთრიდან 20 თეთრამდე იზრდება უფილტრო სიგარეტზე,“ - ამბობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნოდარ გებანოიძე.

დაარსული გზაუბრის დღეების რაოდენობა და ანაზღაურება გაიზარდა http://news.ge/ge

დეკრეტული შევლულების დღეების და ანაზღაურების გაზრდის შესახებ საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

„შრომის კოდექსში“ შესული ცვლილებების მიხედვით, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის მიზნით შევლულება 253 დღით, 477-დან 730 კალენდარულ დღემდე იზრდება. მათგან ანაზღაურება 126-ის ნაცვლად 183 დღეზე გაიჭემა, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში თანხას ქალი 140 დღის ნაცვლად 200 კალენდარულ დღეზე მიიღებს.

ცვლილებების მიხედვით, ის დასაქმებული, რომელიც ერთ წლამდე ასაკის ბავშვს იშვილებს, 365 დღის მაგივრად 550 დღიანი შევლულებით ისარგებლებს. ანაზღაურება ამ შემთხვევაში 20 დღით იზრდება და 90 კალენდარულ დღეს შეეხება.

ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შევლულების დროს გასაცემი თანხის ოდენობა 400 ლარით იზრდება და 1000 ლარს შეადგენს.

საკანონმდებლო ინიციატივისთვის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 3 436 800 ლარით განსაზღვრული დამატებითი ხარჯი გამოიყო.

სოლიდარობის აქცია

მსოფლიო ყრუთა დღესთან დაკავშირებით მუშტაიდის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა სოლიდარობის აქცია.

აქციის მიზანი იყო, საზოგადოების გაცნობიერება ყრუთა უფლებების, საჭიროებებისა და პოტენციალის შესახებ, საზოგადოებრივი მიდგომის შეცვლა, ჟესტური ენის პოპულარიზაცია, ჟესტური ენის სახელმწიფო სტატუსის მინიჭების დაჩქარება და ყრუთა საზოგადოებაში სრულყოფილი მონაწილეობა. აქციაზე შეიკრიბნენ ყრუ ადამიანები, სამთავრობო სტრუქტურების, ადგილობრივი არსამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციის, მედიის წარმომადგენლები.

საზეიმო აქციით საზოგადოებას და ხელისუფლებას შეახსენეს ყრუ ადამიანთა არსებობა. მონაწილეებმა ხელების მოძრაობით, ლოგოიანი მაისურებით, პლაკატებით, დროშებით, ბუშტებით საქართველოდან თავიანთი მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოუცხადეს მსოფლიო ყრუ ადამიანთა სოლიდარობის აქციას.

აქციაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით დარიგდა საინფორმაციო ბუკლეტები და პლაკატები. ბოლოს, ჩატარდა კონცერტი ყრუ ადამიანთა მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნა ადაპტირებული ცეკვისა და სიმღერის ნიმუშები.

აქციაზე ხაზგასმით აღინიშნა საზოგადოების გაცნობიერება ჟესტურ ენის როლზე და მნიშვნელობაზე, რომელიც ერთ-ერთი საშუალებაა სმენის შეზღუდვის მქონე პირების სოციალური ინტეგრაციისათვის.

სოლიდარობის აქცია გაიმართა ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „ჟესტური ენის როლი ყრუთა განათლებაში“ ფარგლებში.

უსმინეთ საავტორო გასაცემას მაია ასაკაშვილთან ერთად



პირველი სამედიცინო რადიო
242 10 03

საზოგადოება ნაკლებად არის გაცნობიერებული შშმ პირთა პრობლემებში. ჯერ კიდევ არსებობს დამკვიდრებული სტერეოტიპები მათი დასაქმების შეუძლებლობაზე, ეს ადამიანები ჯერ კიდევ მოიაზრებიან არაკონკურენტუნარიან სამუშაო ძალად, მაგრამ რეალობა სხვაგვარია. ერთად დავამსხვრიოთ მითი - შესაძლებლობათა შეზღუდვაზე, ერთად შევცვალოთ საზოგადოების დამოკიდებულება, ერთად დავძლიოთ სტიგმა.

პოზიტიურ აზროვნებას უდიდესი ძალა აქვს. რა შესაძლებლობები აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, რა არის მათი პრობლემა, რამდენად დაცულია მათი უფლებები, როგორია სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით, რა სტერეოტიპებია დამკვიდრებული საზოგადოებაში, რა ტერმინების ცოდნაა საჭირო, როცა მათზე ვსაუბრობთ, როგორ გადალახეს ბარიერი და ცდილობენ თავიანთი გაკვალული გზით მაგალითი მისცენ საზოგადოებას. რადიო-გადაცემაში თქვენ მოისმენთ საინტერესო და წარმატებულ ისტორიებს, ექიმებისა და ფსიქოლოგების რჩევებს, შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირებს, მშობლებს, სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს. **უსმინეთ ყოველ ხუთშაბათს 17 საათიდან 18 საათამდე საავტორო გადაცემას: „ადამიანები განსხვავებული შესაძლებლობებით“ მაია ასაკაშვილთან ერთად, პირველი ქართული სამედიცინო რადიოს პირდაპირ ეთერში FMED.FM100.3.**

გადაცემის ავტორი და წამყვალია **მაია ასაკაშვილი** – ჟურნალისტი, სპეც. განათლების პედაგოგი, სპეციალური პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მაძიებელი, არაერთი საგაზეთო პუბლიკაციისა და სამეცნიერო შრომის ავტორი, სხვადასხვა სოციალური პროექტის ხელმძღვანელი, არაერთი საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელი, ექსპერტი, მშობელთა არასამთავრობო ორგანიზაცია-„სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის“ ხელმძღვანელი.

ადამიანის ყველაზე დაუნდობელი და ძლიერი მონინააღმდეგე



ადამიანის მოდ-გმას თავის ცხოვრების განმავლობაში თან სდევს ისეთი დაუნდობელი და ძლიერი მტერი, რომლის დაძლევა-საც ის ვერასდროს ვერ შეძლებს. მის მიმართ უძღურია კოსმიური ძალები, არმიები, ატომური ბომბი, „დალესის დოქტრინა“, „სიონისტ ბრძენთა ოქ-

მები“, გაერო, საერთაშორისო სასამართლო, ინკვიზიცია და ა.შ.

ამ მტრის სახელია დრო - მას ვერ ჩახედავ თვალებში, ხელებს ვერ წაუჭერ ყელში, მასთან შეუძლებელია მოლაპარაკება. ის ყველგანაა.

დროს ყველაფერი შეუძლია. შეუძლია კონტინენტების გადაწევა, კლიმატის შეცვლა, სახელმწიფოთა განადგურება, მდინარეების მიმართულების შეცვლა, პლანეტების, მზის და გალაქტიკების მოსპობა, დრო ნინძას ჰგავს - ჩუმია და შეუმჩნეველი. ის უეცრად თავს არ ესხმის არავის, წყნარად მუსრავს ყველაფერს, თავის მსხვერპლს შობს, ანვითარებს, აბერებს და ამოძრავებს დალუპვისაკენ ან ალორძინებისაკენ. ის ცვლის ჩვენს გეგმებს და მიზნებს.

დრო კი დაუნდობლად მიდის. მიდის უკან მოიხედავად, და განვლილი დროის უკან, ეპოქათა და ადამიანთა მთელ ნეკროპოლს ტოვებს.

სად ხართ თქვენ ყოფილო გმირებო, რომლებმაც დრო გამოიწვიეთ და მას ომი (ბრძოლა) გამოუცხადეთ? ყველა ბრძოლა წაგებულია. და მხოლოდ ისტორიის მეხსიერებას შეუძლია ამ ბუმბერაზი, ძლიერი, გამძლე და თითქოს და ყველაფრის შემძლე შერეკილების ხატებათა დამახსოვრება. მაგრამ დრო, როგორც ზღვის ტალღები, წყნარად და შეუმჩნეველად აგორავებს თავის მსხვერპლს, უცვითავს ბასრ კბილებს და აქცევს მას სრიალს, მოლიპულ კენჭად, რომელიც ისტორიის საცავებში წყნარად და მშვიდად იკავეს თავის ადგილს.



მიმოიხედეთ ირგვლივ - სინყნარეა... სიცარიალეა... რალაც მიტინგების და რევიოლუციების ხმები, ჩვენი გატაცებები, ოცნებების დროს წარმოქმნილი ჰალუცინაციები, განუხორციელებელი თუ განხორციელებული სურვილები, რომელებიც გამოიხატებოდა კითხვაში „მინდა!“, დროსათ ვის, ეს, უბრალო ცელქი სიოს ერთი წამოქროლებაა.

დრო, ჩვენი ცხოვრების წიგნის ყოველ გვერდს აკურატულად, ყოველ წამს და განუწყვეტლად ფურცლავს. სადღაც იქ, გადაშლილი ფურცლების ქვეშ, ჩვენი ბავშვობა დარჩა. მასთან ერთად ჩვენი ოცნებები, გეგმები და იმედებიც გაიყოლა დრომ. დრომ თავის კორექტივები შეიტანა. შეცვალა პრიორიტეტები, გამოცვალა გეგმები და დღეისათვის ჩვენ დაგვრჩა ის, რაც დაგვრჩა. ის, რაც დამაბრმავებლად კიაფობდა - ჩაინავლა, ის, რასაც არ ველოდებოდით - მოვიდა, ის, რასაც ფასი გააჩნდა - გაუფასურდა, ხოლო მას, რასაც ყურადღებას არ ვაქცევდით - დიდ ფასი დაედო.

მაგრამ დრო მარტო კი არ შთანთქავს ყოფიერებას, არამედ ის საიმედო დამცველიცაა. არაფერი არ ქრება უკვალოდ. ჩვენი წიგნების ნაკითხული ფურცლები არ ნადგურდება, არამედ გულდაგულ ინახება დროის არქივებში.



რატომ? რისთვის? ჩვენ ამას ვერასდროს ვერ გავიგებთ. დრომ იცის! დაგვიბრუნებს ის ჩვენს კუთვნილებას თუ არა. ჯერჯერობით, დროის სიძლიერე ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ მის შემოქმედების შედეგების მიხედვით.

აი შედეგებიც. ახლანდელი და წარსულის ცხოვრების მაგალითებით დრომ ნათლად დაგვანახა თავისი სიძლიერე. აბა შეხედეთ სურათზე გამოსახულ ამ ოთხ ახალგაზრდას. თავის დროზე მათ ღმერთებად რაცხ დნენ. ეს ის ბითლზები არიან, რომლებმაც შექმნეს მთელი „ეპოქა“.

ჩვენ მათზე ალტაცებით ვლაპარაკობდით, ვკამათობდით, ვბაძავდით მათ, კაპიკს კაპიკზე ვადებდით და მათ ფირფიტებს ვყიდულობდით. მათ ჩანანერებს ჩვენი ცხოვრების ძირითად კაპიტალად მივიჩნევდით. გვჯეროდა ლენონის, რომელმაც თქვა, რომ - ამჟამად ბითლზი იესოზე პოპულარულიაო!? მაგრამ გავიდა სულ რალაც 40 წელი. რა თქმა უნდა, ბითლზები არ დაგვიწყებია. დრომ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა და „ბითლზების“, გიგანტური, გრანდიოზული მონუმენტი,

რომელსაც თითქოს უნდა დაეჩრდილა ყველა და ყველაფერი, გადააქცია ჩვენი ახალგაზრდობის სიმბოლოდ და ისტორიის თაროზე მსგავსი პერსონაჟების გვერდით თავისი ადგილი მიუჩინათ. ორი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის. დაბერდნენ პოლიც და რინგოც. დარჩა მხოლოდ ხსოვნა მათი დიდებისა.

ოდესლაც ჩვენ ვთვლიდით, რომ ბრიჯიტ ბარდო მუდმივ სექსსიმბოლოდ დარჩებოდა. არა და, რამდენი გოგონა ბაძავდა მას, რამდენი ნატრობდა ერთხელ მაინც ენახა მისი სილამაზე. თანამედროვე ახალგაზრდობამ იცის ვინ არი ის, მაგრამ ... სიმბოლო ჩაინაწვლა და გაუფასურდა. დრომ გაანადგურა ბრიჯიტის ყოფილი დიდება. დატოვა მხოლოდ ის, რაც ფოტოზეა ასახული.

იყო ისეთი ბუმბერაზი ადამიანები, რომლებიც მსოფლიოს ცხოვრებაში საგრძნობი კორექტივები შეჰქონდათ. იყვნენ იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი), ჩერჩილი და რუზველტი. მათთან ერთად ჰიტ ლერიც და სხვანი, რომლებმაც მე-20 საუკუნე „თავის ჭკუაზე აბურთავეს,, მაგრამ რა? წავიდნენ და გაქრენ. დრომ წაიყოლა მათი დიდებაც. სამაგიეროდ მოიყვანა ეს უსახური ადამიანები.

ვაჰ, დრონი, დრონი....


აი აქ კარგად ჩანს, თუ როგორ ანადგურებს დრო გრანიტისმაგვარ, მონუმენტურ, მსოფლიო მნიშვნელობის ადამიანების მითიურობას. სამაგიეროდ ტოვებს წვრილ, უფორმო წერტილებს.

ახლა ოცდმეერთე საუკუნე დადგა.დრომ



მოიტანა ახალი ეპოქა და მასთან ერთად ახალი სახეები და მათაც ისე გადააგდებს ისტორიის საცავეებში, როგორც სჩვევია მას.

ადამიანებო, ფრთხილად მოეკიდეთ დროს, დროსთან თამაში სასტიკად აკრძალულია!



სენსაციური აღმოჩენა დმანისიდან - ჟურნალ science-ის ყდაზე გამოქვეყნებული თავის ქალა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრშია. ახალ მეცნიერულ აღმოჩენას - მეხუთე თავის ქალა დმანისიდან, მსოფლიოში ყველაზე მაღალრეიტინგული გამოცემის გარდა დღეს სტატიებს უძღვნის „ნიუ-ორკ თაიმსი,, „გარდიანი,, „ბი-ბი-სი,, და „სი-ენ-ენი,, აღმოჩენა, რომელმაც, შე-

საძლოა, ადამიანის ევოლუციის შესახებ არსებული თეორია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს, 2000 წლის მსოფლიოს 10 უმნიშვნელოვანეს აღმოჩენათა შორის მე-3 ადგილზე დასახელდა. ჟურნალს science-ში გამოქვეყნებულ სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოსა და აფრიკაში აღმოჩენილი უძველესი ნამარხები ადამიანის ევოლუციის ერთ ხაზს წარმოადგენს, რაც მეცნიერებს აიძულებს, გადახედონ დამკვიდრებულ მოსაზრებებს ადრეული ჰომოს გვარის წარმომადგენლების რამდენიმე სახეობის არსებობის შესახებ. ახალი აღმოჩენის პრეზენტაცია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში უმოკლეს ხანში გაიმართება.

<http://intermedia.ge>




გაუიციანთა თეილიპ კტაიუენი

2001 წლიდან საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტს იკავებს ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის მმართველობის წევრი, „ლონდონი-2012„ ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების ორგკომიტეტის წევრი, მსოფლიოს და ევროპის ორგზის ჩემპიონი კალათბურთში ეტლით მოსარგებლე სპორტსმენთა შორის, ეტლით მოსარგებლეთა კალათბურთის მსოფლიო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, ინგლისელი ფილიპ კრაივენი.

სერ ფილიპ კრაივენის ხელმძღვანელობით 2002 წელს მოხდა პარალიმპიური თამაშების სტრატეგიული მიზნების, მართველობის სისტემის პროცესის და სტრუქტურის გადახედვა. ნოვატორული მიდგომის შედეგად შეიქმნა წინადადებათა პაკეტი, ჩამოყალიბდა ახალი ხედვა და განისაზღვრა პარალიმპიური მოძრაობის მისია, რამაც გამოიწვია 2004 წელს ამჟამად მოქმედი საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის კონსტიტუციის მიღება.

პარალიმპიური თამაშების სიმბოლოები პარალიმპიური ემბლემა

პირველად პარალიმპიური ემბლემა გამოჩნდა ტურინის 2006 წლის ზამთრის პარალიმპიურ თამაშებში. ლოგოტიპი შედგება ცენტრალური ნერტილის ირგვლივ განლაგებულ სამი ფერის (წითელი, ლურჯი და მწვანე ფერის ნახევარსფეროსაგან - სამი აგიტოსი (წარმოშობილი ლატინური სიტყვიდან agito - „მოჰყავს მოძრაობაში, ძრავა,“) სიმბოლი- რებს საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის როლს ინვალიდობის მქონე სპორტსმენთა გაერთიანებაში, რომლებიც თავიანთი მიღწევებით აღაფრთოვანებენ მსოფლიოს. სამი ნახევარსფერო, რომელთა ფერებია წითელი, ლურჯი და მწვანე, ფართოდ წარმოადგენს მსოფლიოს ქვეყნების ეროვნული დროშების ფერებს, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს გონების, სხეულის და სულის სიმბოლოებს.



პარალიმპიური დროშა

პარალიმპიურ დროშაზე გამოსახულია პარალიმპიადის მთავარი სიმბოლო - პარალიმპიური კომიტეტის (სპკ) ემბლემა, რომელიც განთავსებულია დროშის ცენტრში. პარალიმპიური დროშა გამოიყენება მხოლოდ იმ ღონისძიებების დროს, რომლებიც სანქცირებულია საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის მიერ.

პარალიმპიური ჰიმნი

პარალიმპიური ჰიმნი წარმოადგენს საორკესტო მუსიკალურ ნაწარმოებს სახელწოდებით „Hymn de l' Avenir“ („მომავლის ჰიმნი“), რომელიც შექმნა ფრანგმა კომპოზიტორმა ტერი დარნიმ 1996 წელს და, რომელიც იმავე წელს დაამტკიცა საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის მმართველობამ.

პარალიმპიური დევიზი

დევიზი – «Spirit in Motion» («სული მოძრაობაში»). დევიზი ლაკონურად და ნათლად გადმოსცემს პარალიმპიური მოძრაობის ხედვას - ნებისმიერი დონის დაზიანების და ეროვნული წარმომადგენლობის სპორტსმენ-პარალიმპიელებს მისცეს შესაძლებლობა მიაღწიოს მაღალ სპორტულ შედეგებს და აღაფრთოვანოს მსოფლიო.

ღყვინძე გახმანი - პარალიმპიური თამაშების ღამაღსაზადი



ითვლებოდა რა ერთ-ერთ მოწინავე ნევროპათოლოგად მეორე მსოფლიო ომის დროს 1939 წლამდე მუშაობდა ებრაელთა ჰოსპიტალში ქ. ბრესლაუში. უკიდურესად დაძაბული მდგომარეობის გამო, როგორც ებრაელი, 1944 წელს იძულებული გახდა გაქცეულიყო დიდ ბრიტანეთში. ინგლისის მთავრობის თხოვნით, ლონდონთან ახლოს მდებარე ქალაქ სტოკ-მანდეველში ადგილობრივი ჰოსპიტალის ბაზაზე მან შექმნა ხერხემლის ტვინის დაზიანებულთა მკურნალობის ნაციონალური ცენტრი და დაინიშნა ამავე ცენტრის დირექტორად. ამ თანამდებობას იკავებდა 1966 წლამდე. გუტმანი თვლიდა სპორტს, როგორც მკურნალობის ერთ-ერთ მეთოდად და იყენებდა მას ინვალიდების ფიზიკური ძალის და საკუთარი ღირსების გრძნობის ასამაღლებლად. ლ. გუტმანის მიერ 1952 წელს ქ. სტოკ-მანდეველში ორგანიზებულ თამაშებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 130-მა სპორტსმენმა. შემდგომში სტოკ-მანდეველურმა თამაშებმა არნახული მასშტაბი მიიღო და გარდაიქმნა პარალიმპიურ თამაშებად. 1956 წელს, ოლიმპიური მოძრაობის იდეალების განხორციელებაში განეული განსაკუთრებული წვლილისათვის გუტმანი დაჯილდოვდა ფირნლის თასით. 1950 წელს მანვე დაარსა ინგლისის ინვალიდთა სპორტული

ასოციაცია. 1960 წლიდან დაწყებული დღემდე გუტმანის მიერ დაარსებული პარალიმპიური თამაშები ტარდება იმავე ქალაქში, სადაც ოლიმპიური თამაშები იმართება. გამონაკლისი იყო 1980 წელს ჩატარებული მოსკოვის XXII ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. მოსკოვის მიერ უარის გამო პარალიმპიური თამაშების ჩატარება თავის თავზე აიღო ნიდერლანდების ქალაქმა ანხემმა). მანვე დაამუშავა საერთოდ აღიარებული სპორტულ-სამედიცინო კლასიფიკაცია, რომელიც პარალიმპიური პროგრამით ჩატარებულ შეჯიბრებებში სამართლიანი და თანასწორი შეჯიბრებითობის გარემოს უზრუნველყოფს.

მისი დამსახურება განსაკუთრებულად შეაფასა ინგლისის ხელისუფლებამ და დაჯილდოებული იქნა ბრიტანეთის იმპერიის მე-2 ხარისხის ორდენით და კომანდორის წოდებით, რომელსაც დიდ პატივს მიაგებენ მთელ მსოფლიოში.

გუტმანის პატივსაცემად და მისი სახელის უკვდავსაყოფად დაარსებული იქნა გუტმანის სახელობის პრემია: ავსტრალიაში ინვალიდების ეტლით მოსარგებლეთა სპორტის ფედერაციამ (ინგლის.Australian Wheelchair Sports Federation) და გერმანიის პარაპლეგიის სამედიცინო საზოგადოებამ (გერმან. Deutschesprachige Medizinische Gesellschaft für Paraplegie), რომელიც ეძლევათ ქვედა კიდურების პარაპლეგიით დაავადების შესახებ გერმანულ ენაზე გამოცემულ მეცნიერულ ნაშრომებს, გუტმანის სახელს ატარებს ჰოსპიტალი (Institut Guttmann), რომელიც მდებარეობს ბარსელონაში და სადაც მკურნალობენ კვადროპლეგიის და პარაპლეგიის მქონე ავადმყოფებს.

ჩატარებული საგრანტო კონკურსის უსწორი შედეგები



გაგვიმხელს თუ არა კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მის მიერვე გამოცხადებულ „საინვა ლიდო არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერების,“ საგრანტო კონკურსის შედეგებს?

ამ კონკურსის უმთავრესი მიზანი იყო, ადგილობრივი არასამთავრობო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება, რათა ეფექტურად განახორციელონ პროექტები და რაციონალური ადვოკატირებით უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (PWD) სრული ჩართულობა და თანაბარი შესაძლებლობები.

აღნიშნული კონკურსი გრანტის მოპოვების შესახებ კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის გამოა ცხადა მ/წ ივლისში და მისი შედეგები ცნობილი იქნებოდა კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების შეტანის დასრულებიდან 10 სამუშაო დღეში, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, საზოგადოებამ დღემდე არ იცის ჩატარებული კონკურსის შედეგები.

როგორც მოარული ხმებიდან გავიგეთ, საგრანტო კონკურსი ზოგიერთ ხარვეზებით ჩატარდა, რასაც, რა თქმა უნდა, ჟურნალის რედაქცია უსაფუძვლოდ მიიჩნევს. მაგრამ, ბუნებრივია, არაინფორმირებულობამ საზოგადოებაში გარკვეული ეჭვი გამოიწვია და ამის შედეგად გავრცელდა ასეთი ხმები.

ამიტომ, მივმართავთ კოალიციას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის (ხელმძღვანელი ბ-ნ გიორგი ძნელაძე), ჩვენი ჟურნალის საშუალებით საჯაროდ გამოაქვეყნოს აღნიშნული გრანტის კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები, მისამართები და გრანტის მიმნიჭებელი კომისიის პერსონალური შემადგენლობა, რითაც გაფანტავს საზოგადოებაში უკვე ფართოდ გავრცელებულ იმ ეჭვს, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ.

ჟურნალის რედაქცია ეცდება თვალყური მიადევნოს საგრანტო კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მუშაობის მიმდინარეობას და გააცნოს ფართო საზოგადოებას.

ჟურნალის რედაქცია

ხარხაელის ოსტეოხონდროზის მწვავე პერიოდის საწყის ეტაპზე ჩასატარებელი სამედიცინო ტანვარჯიშის სანიშნო ჯომალეჟი

- 1) 

საწყისი მდგომარეობა (ს.მ.) ზურგზე წოლა. ხელების განმკლავი. ერთდროულად კეთდება ფეხის ტერფებისა და ხელის თითების მოხრა-გამლა.
- 2) 

ს.მ. ზურგზე წოლა. მარცხენა ფეხი მუხლში მოხრილია. მარჯვე ნა ფეხის მოხრა-გამლა ტერფის იატაკზე (სანოლზე) სრიალით. 8-10-ჯერ გამეორების შემდეგ ვარჯიში კეთდება მეორე ფეხზე.
- 3) 

ს.მ. ზურგზე წოლა. ხელების ზემკლავი. მორიგეობით ხელების უკან გატანა.
- 4) 

ს.მ. ზურგზე წოლა . მარცხენა ფეხი მუხლში მოხრილია. მარჯვენა ფეხის გვერდზე გატანა. 8-10-ჯერ გამეორების შემდეგ ვარჯიში კეთდება მეორე ფეხზე.
- 5) 

ს.მ. ზურგზე წოლა. იდაყვში მოხრილი ხელები დაწყობილია მხრებზე. მოხრილი ხელებით კეთდება წრიული მოძრაობები..
- 6) 

ს.მ. ზურგზე წოლა. ფეხებქვეშ ამოღებულ მუთაქაზე ფეხების მორიგეობით გამართვა.
- 7) 

ს.მ. ზურგზე წოლა. ფეხები მოხრილია მუხლის სახსარში. რიგრიგობით ფეხების მუხლის (რაც შეიძლება ღრმად) მიტანა მუცელთან.
- 8) 

(ს.მ.) ზურგზე წოლა . ხელების მოხრა იდაყვის სახსარში და მხრებთან მიტანა სუნთქვასთან შეწყობით.
- 9) 


ს.მ. ზურგზე წოლა . ფეხები მოხრილია. მორიგეობით ფეხების გვერდზე გატანა (გადაშლა).
- 10) 

ს.მ. ზურგზე წოლა. ფეხები მოხრილია. ხელების ზემკლავი - ჩასუნთქვა, მუხლის მიტანა (მიკვრა) მუცელზე - ამოსუნთქვა. იგივე მეორე ფეხზე.
- 11) 

ს.მ. ზურგზე წოლა . ფეხები მხრების სიგანეზე. ტერფების როტაცია (ტრიალი).
- 12) 

ს.მ. ზურგზე წოლა. დიაფრაგმული სუნთქვა.

თბილისის ანტილიგისუფლებანიშენაოჯანი



ამჟამად ჩვენს დედაქალაქში დღის წესრიგში დგას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რასაც ფართო საზოგადოებაც მოითხოვს (ვინ უსმენს, თორემ კი!). სამაგიეროდ იქმნება უდიდესი ბარიერები, რომლის გადალახვაც ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც ძნელია.

აბა დააკვირდით. ჩვენს წინაშეა ცაში მიმავალი სამსართულიანი პანდუსი, რომელიც უფრო ანტიპანდუსია, ვიდრე პანდუსი. გაკეთებულია თბილისის მერიის წინ მდებარე გადასასვლელ ხიდზე. თუმცა ასეთი „შედეგები“ მრავლადაა დედაქალაქის გადასასვლელ ხიდებზე.

შე დალოცვილო, რომ აკეთებ, ხომ უნდა დაუფიქრდე რას აკეთებ. ამით ისარგებლებს საინვალიდო ეტლით მოსარგებლე ადამიანი?

თუ მიაკითხავთ თბილისის ვაგზალს. ვერ შეხვდებით ერთ პანდუსსაც კი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს მეორე ბაქანზე მატარებლის ვაგონამდე მიიყვანს.

ამის შესახებ შემდეგ ნომერში მოგიყვებით.

სამშობლო



სამშობლო ადამიანის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია. უსამშობლო ადამიანი სულით დატაკია და საცოდა-ვი. სამშობლოს სიყვარულით მწიფდება და ყალიბდება ადამიანის სულიერი სამყარო, მისი მისწრაფებანი და ფილოსოფიური შეხედულებანი, მისი გულწრფელობა და სიყვარული სხვა ერებისადმი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი, ის ხომ ვერც სხვას შეიყვარებს... და ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო, ის როგორ იგრძნობს ცარიელ გულში სხვათა სამშობლოს სიყვარულს?! ამიტომ ბრძანა რაფიელ ერისთავმა: „სამშობლო-დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა... როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა...“

რა არის სამშობლო, როგორ აღვიქვამთ მას?
ჩვენი სამშობლო არის ჩვენი გენი, ჩვენი ენა, ღვთისა და მოყვასისადმი გამოვლენილი ჩვენი სიყვარული, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი.

საქართველო არის ჩვენი მოგებული თუ წაგებული ბრძოლები, წინაპართა დადებითი და უარყოფითი თვისებები. საქართველო არის მტკიცე ოჯახი, ნათესავების თანადგომა და მათი კავშირი;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც მეგობრისთვის თავს სწირავენ და სადაც მემობელი ოჯახის წევრად არის მიჩნეული; სადაც ნათელ-მბრონობა და ძმადნაფიცობა სისხლისმიერ ნათესაობაზე მეტია.

საქართველო ჩვენი უნიკალური ფლორა და ფაუნაა, ჩვენი მთა და ჩვენი ბარია, ჩვენი უდაბნოა, ჩვენი წყალი და ბღვაა.

საქართველო ურდვევია, როგორც კვართი უფლისა!
თითოეული ჩვენგანი ატარებს მას. საქართველო მე ვარ, იგი ჩემშია და მე მასში!

ილია მეორე
+ ილია — II,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ა. 149/60



რეანი სახლია

გადაღები